სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის მართვა საქართველოში და მისი გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესზე

ცერცვაძე გიორგი, მახარაძე გელა

ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვახტანგ ჭარაია, ასოცირებული პროფესორი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

“როგორც ავტორი, ვაცხადებ რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს, ხოლო სხვა ავტორების მიერ შექმნილი მასალები არის მოხსენიებული და ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

გიორგი ცერცვაძე: _____

გელა მახარაძე: _____

07.06.2019

აბსტრაქტი

ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევისას მთავარ მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის გაუმჯობესება საქართველოში, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად, ასევე ზემოაღნიშნულ კვლევის შედეგად მიღებული შედეგების დამუშავება, დასკვნების გამოტანა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

ჩავატარეთ თვისებრივი ტიპის კვლევა, რომლის მეშვეობითაც გამოვიკვლიეთ როგორც ექსპერტები და დარგის სპეციალისტები, ასევე უცხოური ინვესტიციებით დაფუძნებული მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, მათთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტები მიმოხილულია შედეგების და შედეგების ინტერპრეტაციის თავებში.

ინტერვიუების მეშვეობით მცირე და საშუალო ბიზნესში გამოვლენილი პრობლემების და დადებითი ასპექტების შესახებ რეკომენდაციები რომლებიც ახასიათებს საქართველოში ინვესტიციების შემოდინებას, განხილულია დასკვნის და რეკომენდაციების თავში.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი დასკვნა ეყრდნობა თვისობრივ კვლევას, რომელიც ჩატარებულია, ეკონომიკის ექსპერტების, დარგის სპეციალისტების და უცხოური ინვესტიციებით დაფუძნებული მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან ინტერვიუების მეშვეობით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, FDI, SME, მცირე და საშუალო ბიზნესი, ინვესტიციები, ტრანსნაციონალური კომპანიები, MNE

Abstract

The main objective of our research was to improve the state investment policy for supporting small and medium enterprises, to make an analysis and give recommendations.

We have used the qualitative research methodology, through which we examined experts of economy and specialist of the field, also representatives of small and medium enterprises financed by foreign investors, who are quite experienced in the current investment processes. The important results of the interview are reviewed in the chapter: Interpretation of The Result and in Conclusion.

Through the interviews we have identified problems and positive qualities of small and medium enterprises, which are characterized by the inflow of investments in Georgia and the Government investment policy, which are discussed in the Conclusion and chapter of recommendations

The conclusion presented by us is based on qualitative research, which was conducted through interviews with the experts of economy, industry specialists and small and medium businesses based on foreign investments

Key Words: Foreign Direct investments, FDI, Small and Medium Enterprises, SME, Investments, Multinational Enterprises, MNE.

სარჩევი

გრაფიკების ჩამონათვალი v

ცხრილები ჩამონათვალი vi

აბრევიატურების ჩამონათვალი vii

შესავალი 1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზოგადი მდგომარეობა მსოფლიოში 1

კვლევის მიზანი და ამოცანები 5

კვლევის საგანი და ობიექტი: 6

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები: 6

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: 7

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა 7

ლიტერატურის მიმოხილვა 8

მეთოდოლოგია 26

კითხვარში განხილული ძირითადი საკითხები 28

შედეგები 34

შედეგების ინტერპრეტაცია 44

დასკვნა და რეკომენდაციები 51

დასკვნა 51

რეკომენდაციები 52

ბიბლიოგრაფია 56

გრაფიკების ჩამონათვალი

გრაფიკი N1, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მსოფლიოში 2

გრაფიკი N2, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2009-2018 წლები ქვეყნების მიხედვით 3

გრაფიკი N3, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკური სექტორების მიხედვით 4

გრაფიკი N4, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით 5

გრაფიკი N5, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების კმაყოფილება საკანონმდებლო ბაზით. 41

გრაფიკი N6, საერთაშორისო შეთანხმებების შედეგები მცირე და საშუალო ბიზნესში 42

გრაფიკი N7, რამდენად ხდება MNE-ებიდან უნიკალური რესურსების გადადინება ადგილობრივ მცირე და საშუალო კომპანიებში 43

გრაფიკი N8, რამდენად კმაყოფილია მცირე და საშუალო ბიზნესი საკუთრების უფლების დაცვით. 43

გრაფიკი N9, რამდენად დისკრიმინაციულია საქართველოში ბიზნეს გარემო 44

გრაფიკი N10, ინვესტორის კმაყოფილების კვლევა 46

ცხრილები ჩამონათვალი

ცხრილი N1, საქართველოში ბიზნესის კეთების ხელისშემშლელი ფაქტორები 45

ცხრილი N2, საქართველოში ბიზნესის კეთების ხელისშემწყობი ფაქტორები 46

აბრევიატურების ჩამონათვალი

FDI	Foreign Direct Investments - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
SME	Small And Medium Enterprises - მცირე და საშუალო ბიზნესი
MNE	Multinational Enterprises - ტრანსნაციონალური კორპორაციები
OECD	The Organization of Economic Co-operation And Development - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის სამსახური
IMF	International Monetary Fund - საერთაშორისო სავალუტო ფონდი
საქპატენტი	ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
WGI	Worldwide Governance Indicators - მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები
World Bank	მსოფლიო ბანკი

შესავალი

თემის აქტუალობა: გლობალიზაციის პროცესი განვითარებად ქვეყნებს უქმნის კარგ ნიადაგს და აძლევს ეკონომიკური ზრდისა და განვითარების შესაძლებლობას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იძლევა საშუალებას, ინვესტორებმა ეფექტურად გამოიყენონ თავიანთი ფულადი სახსრები, ხოლო ინვესტიციის მიმღებ ქვეყანას აქვს შესაძლებლობა აითვისოს თანამედროვე ტექნოლოგიები და ჩაერთოს საერთაშორისო სავაჭრო პროცესებში.

განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიჩნეულია ქვეყნის ეკონომიკის ზრდის, სტაბილურობის, მოდერნიზაციის და დასაქმების ხელშემწყობ მთავარ ფაქტორად. განვითარებადი ქვეყნები ერთმანეთს ეჯიბრებიან უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში, ინვესტორებს სთავაზობენ საუკეთესო ბიზნესგარემოს, რომელშიც მოიაზრება: მოქნილი საგადასახადო სისტემა, სტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო, იაფი ან კვალიფიცირებული მუშახელი, ინფრასტრუქტურა, სტრატეგიული მდებარეობა, თავისუფალი ვაჭრობა, კორუფციის დაბალი დონე, აღნიშნულმა ფაქტორებმა უბიძგა ქვეყნებს საინვესტიციო რეჟიმების მასიური ლიბერალიზაციისკენ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზოგადი მდგომარეობა მსოფლიოში

World Bank-ის 2017 წლის მონაცემების მიხედვით მსოფლიოში განხორციელებულმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ - 1.95 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც ბოლო ათწლეულის მონაცემებში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი

მაჩვენებელია. დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე (World Bank):

გრაფიკი N1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მსოფლიოში



ინფორმაციის წყარო: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, https://unctad.org/en/PublicationsLibrary/wir2018_overview_en.pdf

იგივე წყაროს მიხედვით, 2017 წელს მსოფლიოში ყველაზე დიდი მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აშშ-ში განხორციელდა 354.828 მილიარდი აშშ დოლარი, მას მოსდევდა ნიდერლანდები 316.541 მილიარდი აშშ დოლარით და ჩინეთი 168.223 მილიარდით.

2018 წელს მსოფლიოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 23%-ით დაეცა და 1.43 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ვარდნის გამომწვევ მთავარ მიზეზად კროს-ბორდერული, შერწყმითი და შთანთქმითი ოპერაციები სახელდება, მათ ვარდნა 22%-ს

შეადგენდა, ასევე 14 პროცენტიანი ვარდნა დაფიქსირდა „მწვანე ინვესტიციებში“ (UNCTAD). თუმცა, იგივე UNCTAD-ის კვლევის მიხედვით, განვითარებად ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, 2018 წელს, ინვესტიციების მოცულობამ სტაბილურობა შეინარჩუნა და 671 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, ეს მონაცემები რეგიონების მიხედვით ასე გამოიყურება: აფრიკა - 42 მილიარდი აშშ დოლარი (21% კლება 2016 წელთან შედარებით); განვითარებადი აზია - 476 მილიარდი აშშ დოლარი, ლიდერი რეგიონი ინვესტიციების მოზიდვის კუთხით; ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზი - 151 მილიარდი აშშ დოლარი, 8% მატება, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში პირველად დაფიქსირდა, თუმცა რეგიონის ბუმის (2011 წელი) ნიშნულს ისევ ჩამორჩება. ინვესტიციების მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა განვითარებულ ქვეყნებში 37% და რაოდენობრივ ჭრილში 712 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

UNCTAD-ის თანახმად, მცირე და საშუალო ბიზნესებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ ეკონომიკის ზრდასა და შესაბამისად ქვეყნის განვითარებაში.

2009-2018 წლებში საქართველოში ინვესტიციების მოცულობა დიდ წილად მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა, ამ 10 წლიან მონაკვეთში ყველაზე მეტი ინვესტიცია აზერბაიჯანის, ნიდერლანდების და გაერთიანებული სამეფოს მხრიდან განხორციელდა, სამივე ქვეყნიდან შემომავალმა ინვესტიციებმა, ჯამურად, მთელი FDI-ს ნახევარზე მეტი, 56% შეადგინა.

გრაფიკი 2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2009-2018 წლები ქვეყნების მიხედვით



ინფორმაციის წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, https://geostat.ge/media/20734/FDI_Geo_countries.xlsx

მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჩაშლა დარგების მიხედვით, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, ინვესტორებისთვის ყველაზე მიმზიდველ სექტორს საფინანსო სექტორი წარმოადგენს, ამ დარგში მთელი ინვესტიციების თითქმის 1/4-ია თავმოყრილი, ასევე დიდი წილი უჭირავს ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის (13%), ენერგეტიკასა (12%) და დამამუშავებელ მრეწველობაში განხორციელებულ ინვესტიციებს (12%), დეტალური ინფორმაცია სექტორების წილის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:

გრაფიკი 3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკური სექტორების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, https://geostat.ge/media/20735/FDI_Geo-sectors.xlsx

მნიშვნელოვანია ინვესტიციების განხილვა რეგიონალურ ჭრილში, ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე ნათლად ჩანს რომ, მთელი ინვესტიციების აბსოლუტური უმრავლესობა (78%) თბილისში განხორციელებულ ინვესტიციებზე მოდის, სხვა რეგიონებთან შედარებით მნიშვნელოვანი წილი უჭირავს აჭარის რეგიონს (9%) და ქვემო ქართლის რეგიონს (5%), ეს ყოველივე შეიძლება მრავალ ფაქტორს დავუკავშიროთ, თუმცა ქვეყნის ერთ წერტილში მთელი ინვესტიციების ასეთ დიდ კონცენტრაციას დადებით მოვლენად ვერ აღვიქვამთ.

გრაფიკი 4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, https://geostat.ge/media/20737/FDI_Geo_regions.xlsx

კვლევის მიზანი და ამოცანები

სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის გაუმჯობესება საქართველოში, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე შეირჩა შემდეგი ამოცანები:

1. ქართული და უცხოური ლიტერატურის მიმოხილვა და მათი კრიტიკული ანალიზი;

2. გლობალური ეკონომიკური და საინვესტიციო ტენდენციების ანალიზი;

3. ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების იდენტიფიკაცია საქართველოში;

4. საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის გამოწვევების შესწავლა;

5. საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი ფაქტორების ანალიზი;

6. საქართველოს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისათვის შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავება.

კვლევის საგანი და ობიექტი:

კვლევის საგანს წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მისი მნიშვნელობა მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ზრდისთვის, მცირე და საშუალო ბიზნესის ჭრილში.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს საინვესტიციო კლიმატი და უცხოური ინვესტიციების როლი მისი გაუმჯობესების პროცესში.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები:

კვლევის დროს გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები: თვისობრივი და შედარებითი სტატისტიკური ანალიზის.

ნაშრომი ეყრდნობა ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევებს, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა გამოკვლევებს, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებს, აგრეთვე სხვა წყაროებით მოპოვებულ ფაქტობრივ მონაცემებს.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა:

კვლევის შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნეს დარგის სპეციალისტების მიერ პრაქტიკული გამოყენების მიზნით.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

ნაშრომი შესრულებულია 56 გვერდზე, იგი შედგება, შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, მეთოდოლოგიის, შედეგების, შედეგების ინტერპრეტაციის, დასკვნის, რეკომენდაციების და ბიბლიოგრაფიის თავებისგან, მას თან ერთვის ცხრილები და გრაფიკები.

ლიტერატურის მიმოხილვა

განვითარებადი ქვეყნები ცდილობენ მოიზიდონ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მისგან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (შემდგომში ინვესტიციები) არის ერთ-ერთი გზა იმ დეფიციტის დასაფინანსებლად, რომელიც განვითარებადი ქვეყნების მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდოს გამო ხშირად იქმნება. ინვესტიციებს შეუძლიათ მიმღებ ქვეყანაში ეკონომიკისთვის აქსელერატორის ფუნქცია შეასრულონ, შექმნან რა სამუშაო ადგილები, განახორციელონ ტექნოლოგიების და ცოდნის ტრანსფორმაცია თავიანთი საშინაო ქვეყნიდან. ისინი ასევე დადებით როლს თამაშობენ უცხოური ბაზრების წვდომის გამარტივების კუთხით, მაშინ როცა მიმღები ქვეყანა გამოიყენება როგორც საექსპორტო პლატფორმა, სხვა ქვეყნებში პროდუქციის გასატანად.(Lamsiraroi, 2016). აქედან გამომდინარე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან როლს თამაშობს მიმღები ქვეყნისთვის, ახალისებს რა პროდუქტიულობას და ეკონომიკურ ზრდას , ასევე ზრდის უცხოური ბაზრებზე გასვლის ხელმისაწვდომობას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები OECD-ის და IMF-ის მიხედვით, განისაზღვრება როგორც, საინვესტიციო კატეგორია, რომელიც ასახავს ინვესტორის მიერ ერთ ეკონომიკაში რეზიდენტი საწარმოს მიმართ გრძელვადიანი ინტერესის გაჩენას. „გრძელვადიან ინტერესი“ გულისხმობს ინვესტორსა და რეზიდენტ საწარმოს შორის ხანგრძლივ ურთიერთობას, რომელშიც მოიაზრება გავლენა და მართვის მაღალი ხარისხი საწარმოს მიმართ. ასეთ ურთიერთობას განაპირობებს ინვესტორის მიერ საწარმოს 10% ან მეტი ხმის უფლების მფლობელობა. (OECD, 2008: 17, and IMF, 2003: 9-10).

თითოეულ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმარტება შეიძლება განსხვავდებოდეს სტანდარტული OECD-სა და IMF-ის განმარტებისგან. სტატისტიკური თვალსაზრისით, ინდონეზიაში არსებობს ორი სახის პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მონაცემი: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობის (OECD) და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) საფუძველზე დაარსებულ უცხოური ინვესტიციების მონაცემები. როგორც უკვე აღვნიშნე, ინვესტორის მიერ საწარმოში 10% ან მეტი პროცენტის ფლობა უკვე წარმოადგენს უცხოურ ინვესტიციებს. (OECD, 2008, გვ .17), მაგრამ ყველა ქვეყანა სტანდარტულ განმარტებას არ იყენებს. ჩინეთში უცხოელი ინვესტორები უნდა ფლობდნენ საწესდებო კაპიტალის 25%-ს, მალაიზიაში ეს რიცხვი 50%-ს შეადგენს, ინდონეზიის, სამართლის No.25/2007 საფუძველზე FDI-ის განმარტება უფრო ფართოა, რომლის თანახმადაც FDI არის უცხოური საინვესტიციო საქმიანობა , რომელიც მიზნად ისახავს ინდონეზიაში ბიზნესის შექმნასა და განვითარებას, და ბიზნესი ეკუთვნის მთლიანად ან ნაწილობრივ უცხოელ ინვესტორს. უცხოელი ინვესტორი შეიძლება იყოს როგორც უცხოელი რეზიდენტი, ასევე საწარმო. მთავრობა, დამატებით კანონის საფუძველზე ავალდებულებს ინვესტორს ჰქონდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი.

ინვესტიციები განხორციელების მიხედვით არსებობს : პირდაპირი უცხოური და პორტფელური ინვესტიცია. მათ შორის ძირითადი განსხვავება ინვესტორის მიერ მართვისა და კონტროლის ხარისხზეა დამოკიდებული. პორტფელური ინვესტიცია შედგება ინვესტორის მიერ რეზიდენტი ქვეყანაში განთავსებული ფასიანი ქაღალდების (აქცია, ობლიგაცია) და ფინანსური აქტივებისგან. პორტფელური ინვესტიციის დროს ინვესტორებს არ გააჩნიათ მართვის კონტროლი საწარმოზე და ნაკლებად იღებს მონაწილეობას მართვაში, მისი მთავარი მიზანი შემოსავლების ზრდაა. ამის საპირისპიროდ პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემდეგნაირად განიმარტება, საწარმო, რომელშიც უნდა განხორციელდეს ინვესტიცია მდებარეობს ერთ ქვეყანაში,

მაგრამ ეფექტურად კონტროლდება სხვა ქვეყნის მოქალაქეების მიერ (გაერო). პირდაპირი უცხოური ინვესტიცია აძლევს ინვესტორს შესაძებლობას უცხო ქვეყანაში წარმართოს გრძელვადიანი საქმიანობა და გაიღრმავოს ბიზნეს ინტერესები. პორტფელური ინვესტიციები შედარებით ნაკლებ რისკიანია, რადგანაც ინვესტორს აქვს შესაძლებლობა განხორციელებული ინვესტიცია მალე დაიბრუნონ და დატოვონ ბაზარი. პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ერთ-ერთი არხია, რომელიც მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკაში ადამიანური კაპიტალის ამაღლებას შეძლებს, თანამედროვე მენეჯმენტით და სამუშაო პროცესის გამუმჯობესების მეშვეობით (Ozturk 2007). პირდაპირ უცხოური ინვესტიციების განხორციელებას შეუძლია ეკონომიკური ზრდის სტიმულირება, მაგრამ ასევე უარყოფითი გავლენაც მოახდინოს შრომის ბაზარზე, უფრო მეტი ტექნოლოგიების გამოყენების გზით (Moura & Forte 2009), რომელიც შრომის ბაზარზე გამოიწვევს მოთხოვნის შემცირებას.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციების მთავარი დადებითი თვისება, როგორც ზემოთვე აღვნიშნეთ, ეკონომიკური ზრდის დაჩქარებაა (Alfaro, Chanda, Kalemli-Ozcan, & Sayek, 2010; Mencinger 2003), ბორენშტეინის, დე გრეგორიოს და ლის აზრით FDI ეკონომიკურ ზრდას იმაზე მეტად აჩქარებს ვიდრე შიდა ინვესტიციები. (Borensztein, De Gregorio, & Lee 1998). OECD თავის ანგარიშში, „მასპინძელი ქვეყნის განვითარების საბაზისო დონე და შესაბამისი პოლიტიკა“-ში, გამოყოფს იმ ხუთ მთავარ ფაქტორს, რისი მეშვეობითაც უცხოური ინვესტიციები ეხმარებიან ეკონომიკას ზრდაში, ესენია: უცხოური ინვესტიციების შესაძლებლობა გადასცეს მასპინძელ ქვეყანას ტექნოლოგიები, ნოუ ჰაუ, მათი უნარი გაზარდონ კონკურენცია, განავითარონ ადამიანური რესურსები, დაუახლოვონ(მოახდინონ ინტეგრაცია) მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკას და ფირმების პოზიტიური განვითარება. საპირისპიროდ მოურა და ფორტე თვლიან, რომ უცხოურმა ინვესტიციებმა შეიძლება ნეგატიურად იმოქმედონ ეკონომიკურ ზრდაზე, (Moura and Forte (2009). OECD ზემოაღნიშნულ ანგარიშში

ჩამოთვლილი 5 ფაქტორიდან ოთხი მათგანი შეიძლება არამხოლოდ პოზიტიურ, არამედ ნეგატიურ გავლენასაც ახდენდეს ეკონომიკის ზრდაზე, გამონაკლისი მხოლოდ ფირმების პოზიტიური განვითარებაა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კიდევ ერთი უარყოფითი მხარედ, მანსინგერი შიდა ეკონომიკური პოლიტიკის იმპლემენტაციის გართულებას მიიჩნევს (Mencinger's (2003).

ბორენშტეინის, ვანგი და ვონგის, ლამისიროის და ულუბასოღლუს და სხვადასხვა ეკონომისტების კვლევებით დასტურდება რომ, ზემოთ აღნიშნული ეკონომიკური ბენეფიტები ვერ მიიღწევა თავისთავად, მასპინძელი ქვეყნის „მიღების" უნარის გარეშე (Borensztein et al., 1998; Wang and Wong, 2011; Lamsiraroj and Ulubasoglu, 2015; and Lamsiraroj, 2016) მაგალითისთვის ბორენშტეინი (Borensztein et al. (1998)) და ვანგი და ვონგი (2011) თვლიან რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი ეფექტები ეკონომიკის ზრდაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადამიანურ რესურსებზე, მათ შესაძლებლობებზე შეითვისონ ტექნოლოგიები, რომლებიც გადაეცემა მიმღებ ქვეყანას (Borensztein., 1998; Wang and Wong, 2011). ლამსირაროიმ და ულუბასოღუმ გამოარჩიეს სხვა ფაქტორები, როგორებიცაა, ბაზრის თავისუფლების (ღიაობის) ხარისხი და საფინანსო სექტორის განვითარების დონე, რომლებიც მნიშვნელოვანია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წასახალისებლად და ეკონომიკის ზრდისთვის (Lamsiraroj and Ulubasoglu, 2015) მასპინძელ ქვეყანაში(Borensztein et al., 1998; Wang and Wong, 2011. როდრიკის, აკემოღლუს და რობინსონის (2012) აზრით ინსტიტუციები ყველაზე დიდ გავლენას ახდენენ სხვადასხვა ეკონომიკურ მოვლენებზე (Rodrik, 2000 and Acemoglu and Robinson, 2012). ინსტიტუციას განმარტავენ როგორც „თამაშის წესებს", რომლის საშუალებითც საზოგადოების წევრები ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ. ინსტიტუციები შეიძლება იყოს როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური, ფორმალურ ინსტიტუციებს განეკუთვნება, კონსტიტუცია, კანონები, საკუთრების და სხვადასხვა უფლებები, ხოლო არაფორმალურს, ტაბუები, ტრადიციები

თუ სხვადასხვა სოციალური ნორმები. (Helmke and Levitsky, 2004). პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით, აგლობიორი და აზმან-საინი, ხაზს უსვამენ ისეთი ინსტიტუციების მნიშვნელობას, როგორებიცაა, კანონების აღსრულება, რეგულირების ხარისხი და კორუფციის კონტროლის დონე, ყველა ამ ფაქტორის მაღალ მაჩვენებლებს, პოზიტიური გავლენა აქვს პირდაპირო უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე, რაც თავისთავად მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და სხვა მაჩვენებლებზე დადებითად აისახება ((Aglobyor et al. (2016), (Azman-Saini et al, 2010).

პრაქტიკაში ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუციები ერთად „ურთიერთქმედებენ“ რათა ეფექტურად მართონ ეკონომიკის აგენტები. (Williamson, 2009). მათი არაფორმალური კავშირები ადგილობრივ და ტრანსნაციონალურ კომპანიებთან, ხელს უწყობს ეკონომიკის ინკლუზიურ განვითარებას. კვლევები ფოკუსირებულია სამთავრობო ინსტიტუციების როლზე და მათ ხარისხიან ფუნქციონირებაზე, რადგან სწორედ ეს ინსტიტუციები არეგულირებენ კერძო სექტორისა და საზოგადოებას შორის კავშირებს. მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული ინდიკატორი, რომლითაც ხდება აღნიშნული საკითხის ეფექტურობის გაზომვა არის, Worldwide Governance Indicators (WGI), რომელიც წარმოდგენილია მსოფლიო ბანკის მიერ (WB), იგი მოიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, მათ შორის:

- პოლიტიკურ სტაბილურობას;
- არაძალადობრივ გარემოს;
- ხელისუფლების ეფექტურობას;
- მარეგულირებლის ხარისხს;
- კორუფციის კონტროლს;
- სხვა ფაქტორებს.

ჩონგს და გრანდშტეინს კვლევების მიხედვით მიაჩნია რომ, მთავრობის ეფექტურობის მაღალი ხარისხი ამცირებს უთანასწორობას (Chong and Gradstein, 2004), ხოლო ლოპესი საპირისპიროდ თვლის (Lopez, 2004). როშტეინის და თეორელის მიხედვით, ინსტიტუციის ხარისხის განსასაზღვრად, უნდა დავეყრდნოთ მიუკერძოებლობის კონცეფციას, რაც თავის მხრივ გულისხმობს რომ, „ინსტიტუციონალური მიუკერძოებლობა პროცედურულია, მას შეუძლია შეიმუშაოს განსხვავებული პოლიტიკა, თუმცა იგი არ უნდა უჭერდეს მხარს ადამიანთა რომელიმე სპეციფიკურ გუნდს ან მათ ინტერესებს“(Rothstein and Teorell, 2015).

სამწუხაროდ არსებული კვლევები ორიენტირებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენის შესწავლაზე ეკონომიკურ ზრდასთან მიმართებით, თუმცა მაღალი ეკონომიკური ზრდას ხშირად არ აქვს შემოსავლების უთანასწორობის აღმოფხვრის და სიღარიბის დაძლევის მაჩვენებლებთან თანხვედრა, (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკური ზრდა არ არის ერთადერთი და აბსოლუტური ფაქტორი რამაც შეიძლება ქვეყნის განვითარება დამოუკიდებლად, სხვა ფაქტორების დახმარების გარეშე შეძლოს) (Kusumawati et al, 2015). მაგალითისთვის ინდოეთში სწრაფ ეკონომიკურ ზრდას არ მოყოლია გარდაცვალების კოეფიციენტის, დაბალ შემოსავლიანი ადამიანების პროცენტული წილის და არც გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრა ან შემცირება (გაეროს განვითარების პროგრამა, UNDP, 2005). ასევე მოხდა დიდი ბრიტანეთის შემთხვევაშიც, ინდუსტრიალიზაციის პერიოდში მაღალ ეკონომიკურ ზრდის მიუხედავად, ცხოვრების მოსალოდნელი ხანგრძლივობა და ჩვილების მოკვდავიანობის კოეფიციენტი არ გაუმჯობესებულა (Crafts, 1997). მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს ინდონეზიის ეკონომიკა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველზე სწრაფად მზარდი ეკონომიკა იყო, ამავდროულად შემოსავლების უთანასწორობის კუთხით, ბოლო 50 წლის მანძილზე ყველაზე უარესი მაჩვენებელსაც აფიქსირებდა. ამის გამო საერთაშორისო ორგანიზაციებმა, როგორებიც არიან გაეროს განვითარების

პროგრამა და აზიის განვითარების ბანკი (UNDP და ADB), დაიწყეს ფოკუსირება ეკონომიკის ზრდის უფრო ფართო კონცეფციაზე, ინკლუზიურ ზრდაზე. ინკლუზიური ზრდა თავის მხრივ გულისხმობს, საზოგადოების ყველა წევრის თანაბარ სარგებელს ეკონომიკური ზრდიდან, მიუხედავად მათი ინდივიდუალური გარემოებებისა (Felipe, - 2012).

პირდაპირ შედეგებს მიეკუთვნება ის სარგებელი რასაც ადგილობრივი საზოგადოება იღებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეშვეობით. პირდაპირი შედეგები შედგება, სამუშაო და არასამუშაო სარგებლებისგან, სამუშაო სარგებლები მოიცავს: დასაქმების შესაძლებლობას და სამუშაო შემოსავლებს, ასევე დაზღვევის და განათლების ბენეფიტებს. FDI-ს არსებობა ქმნის დასაქმების შესაძლებლობებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რის შედეგადაც ისინი იღებენ რეგულარულ შემოსავალს. შემოსავლების მეშვეობით ადგილობრივები იუმჯობესებენ საცხოვრებელ გარემოს, სწავლის ხარისხს და ჯანმრთელობას. გარდა ამისა, ტრანსნაციონალური კომპანიის ან უცხოური კომპანიის თანამშრომლები იღებენ "არა-შემოსავლიან" სარგებელსაც, როგორებიც არის განათლება, ტრენინგები და სხვადასხვა პროგრამები, რომლებიც აუმჯობესებენ უშუალოდ დასაქმებულის უნარებს თუ კვალიფიკაციას, გაუმჯობესებული კვალიფიკაციით კი, ხალხს უჩნდება შესაძლებლობა გაზარდონ პროდუქტიულობა, შემოსავლები და გაიუმჯობესონ მათი ყოფა. ჯანმრთელობის დაზღვევა და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა აუმჯობესებს, ადგილობრივების ჯანმრთელობის მდგომარეობას, სწორედ ეს ფაქტორები უწყობს ხელს სიღარიბის შემცირებას და სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის გაზრდას.

ინსტიტუციონალური როლი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობაში ძალიან მნიშვნელოვანია ინკლიზიური ზრდისთვის. პირდაპირი FDI-ს შემოდინება ინკლუზიური ზრდის მისაღწევად შეიძლება წახალისდეს ინსტიტუტების მიერ. ასეთ შემთხვევაში, ისინი მოდერატორის როლს ასრულებენ ინვესტიციებსა და

საზოგადეობას შორის.. ინსტიტუტები, როგორც წესი, არეგულირებენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, მთავრობისა და საზოგადოების ურთიერთობებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინსტიტუტები ერთგვარად ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ინკლუზიური ზრდის პოზიტიურ გავლენას. ინსტიტუტები, განსაკუთრებით კი არასამთავრობო ორგანიზაციები, საშუალებას აძლევენ საზოგადოების წევრებს, ჩაერთონ საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებაში, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და ინფორმირებულნი იყვნენ უცხოური ინვესტიციების პოლიტიკის შესახებ. ეს ინსტიტუტები უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა წევრის თანაბარი უფლებებით სარგებლობას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოლიტიკის შემუშავებასა და იმპლემენტაციაში. აღნიშნავენ ინსტიტუტების მნიშვნელობას მასპინძელ ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი გავლენის ხელშეწყობის მიზნით (Dunning & Fortuneer, 2006). უფრო მეტიც, OECD ვარაუდობს, რომ ინსტიტუციების არსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ინკლუზიური ზრდის მისაღწევად (OECD, 2014, 162). აკემოღლუს და რობინსონის თანახმად, ასეთ ინსტიტუციებს აქვთ მნიშვნელოვანი როლი, საზოგადოების ჩართულობის, ინფორმირებულობის და შესაბამისად მათი ეკონომიკური სარგებლის მეტად ეფექტიანად გადანაწილების მიმართულებით (Acemoglu and Robinson, 2012).

მასპინძელ ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციის გავლენის ანალიზი გვიჩვენებს რომ, ინვესტიციების შეფასების კუთხით გამოყოფენ სამ ძირითად მიმართულებას:

1. მთავარი შედეგია ინდიკატორების ზრდა არამხოლოდ ეკონომიკური ზრდის მიმართულებით, არამედ ფოკუსირებულია უფრო ფართო ასპექტებზე, როგორებიცაა შემოსავლის უთანასწორობა და სიღარიბის მაჩვენებელი

2. მეორე შედეგი უფრო ფუნდამენტურია და მოიცავს ინდექსის ზრდის შესახებ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კონცეპტუალურ და თეორიულ ასპექტებს. ლიტერატურების უმრავლესობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის

ეკონომიკურ შედეგებზე საუბრობს, როგორიცაა პროდუქტიულობა და ეკონომიკური ზრდა.

3. მესამე შედეგი მოიცავს ინსტიტუტების როლს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებისას. ახალი პარადიგმის შემთხვევაში ინსტიტუტების როლი ფუნდამენტურია და მთავარ ხელისშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს განვითარების პროცესში (Dunning and Fortanier, 2006). ინსტიტუტები განსაზღვრავენ თამაშის წესებს და იმ გზას, სადაც ადამიანები ურთიერთქმედებენ. ინსტიტუტები შეიძლება იყოს ფორმალური (კანონები) და არაფორმალური (სანქციები, ლიცენზიები, საბაჟო შეზღუდვები, ტრადიციები) (North 1981).

დანინგის აზრით, უცხოურ კომპანიებს მასპინძელ ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებით ოთხი ძირითადი მოტივი აქვთ. კომპანიები კაპიტალდაბანდების მიხედვით იყოფა შემდეგნაირად: ბუნებრივი რესურსების, ეფექტიანობის, ბაზრისა და სტრატეგიული აქტივების მაძიებელი. (Dunning, 1998, Dunning and Lundan, 2008)

- ბუნებრივი რესურსის მაძიებელი - ინვესტორები კონკრეტული რესურსების მოპოვებას ცდილობენ უფრო დაბალი დანახარჯებით სხვადასხვა ქვეყნებში, რომელიც ინვესტორს აძლევს შესაძლებლობას დაბალი დანახარჯებით მოპოვებული რესურსებით გახდეს კონკურენტუნარიანი და აითვისოს ახალი ბაზრები. რესურსებიც განსხვავდება თავისი შინაარსით, ეს შეიძლება იყოს: მინერალური და ბუნებრივი რესურსები, ადამიანური კაპიტალი და ა.შ.
- ეფექტიანობის მაძიებლები - ამ ტიპის მაძიებელ ინვესტორებს არ აკმაყოფილებთ თავიანთი მიმდინარე მდგომარეობა ქვეყანაში და გაუმჯობესების მიზნით ეძებენ უკეთეს ბიზნესგარემოს. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს ქვეყენაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებეი და რეგულაციები, ასევე მაკროეკონომიკური პრობლემები და ა.შ

- ბაზრის მაძიებლები - ინვესტორების მთავარი მიზანი ახალ ბაზრებზე გასვლა და თავის დამკვიდრებაა, რომელიც დამატებით ზრდის ინვესტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და შესაძლებლობების ზრდას. ახალ ბაზარზე გასვლის ძირითადი ფაქტორები შეიძლებ ა იყოს:
  - ადგილობრივ პირობებზე მორგებული ინვესტიციის განხორციელება
  - დანახარჯების შემცირებაზე დამყარებული ინვესტიცია
  - უშუალო კონკურენტების არ შეშვების მიზნით განხორციელებული
- სტრატეგიული აქტივების მაძიებელი - ამ ინვესტიციის მიზანია, გრძელვადიანი განვითარების გეგმის უზრუნველყოფა, რომელიც ხელს შეუწყობს კონკურენტიანობის ამაღლებას და კომპანიის გაძლიერებას. მთავარ პოლიტიკას წარმოადგენს მასპინძელ ქვეყანაში მთავრობასა და საზოგადოებასთან ხანგრძლივი ურთიერთობების დამყარება. ამ ტიპის ინვესტიცია უფრო სასარგებლოა ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის, მაგ. მაღალტექნოლოგიური წარმოების პროცესები განავითარებს კონკრეტულ უნარ-ჩვევებს, ასევე ამ ტიპის ინვესტიციები მიმართულია სოციალური საქმიანობისკენ და უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ადგილობრივ მოსახლეობას (Te Velde and Xenogiani 2007).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციის გავლენა მიმღები ქვეყნის შიდა ეკონომიკაზე სადაოა. ამ თემასთან დაკავშირებით ორი თეორია არსებობს: მოდერნიზაციის და დამოკიდებულის თეორია. მოდერნიზაციის თეორია ლიბერალიზმშია დაფუძნებული, რომელიც ამტკიცებს რომ საბაზრო მექანიზმში ინვესტიციები კარგად მუშაობს და ეკონომიკურ რესურსებს ეფექტურად ანაწილებს. ინვესტიციები განვითარებადი ქვეყნებისთვის ტექნოლოგიებს და ნოუ-ჰაუს ხელმისაწვდომს ხდის, რაც აუცილებელია განვითარებისთვის, ასევე ტრენინგების, ჯანდაცვისა უსაფრთხოების

უზრუნველყოფითა და თანამედროვე მენეჯმენტით ადგილობრივი საზოგადოებისა და საწარმოების პროდუქტიულობას აუმჯობესებს. მოდერნიზაციის თეორია მხარს უჭერს ნეოკლასიკური ზრდის თეორიას (Solow, 1956 და Swan, 1956) , რომელიც ამტკიცებს შრომისუნარიანობის, კაპიტალის დაგროვებისა და ტექნოლოგიების პროგრესის მნიშვნელოვან როლს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. თუმცა, დამოკიდებულების თეორიის თანახმად, ეკონომიკური ლიბერალიზაცია მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკას შლის, მასპინძელ ქვეყნებში ადგილობრივ მეწარმოებას ანადგურებს, დროთა განმავლობაში ადგილობრივი ფირმების პოპულარობა იკლებს, ინვესტორის მიერ მიღებული მოგება ძირითადად ქვეყნის გარეთ მიედინება, რაც ცუდად მოქმედებს საგადამხდელო ბალანსზე.

ტექნოლოგიურად ძლიერ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციას, მაღალი ხარისხისა და მაღალი პროდუქტიოლობის ხარჯზე , დიდ ბაზრებზე წვდომის საშუალებით შეუძლია ბაზარზე ადგილობრივი საწარმოების წილების მოპოვება, მცირე და საშუალო ბიზნესის შეზღუდვა, ან სულაც გაქრობა, ის ადგილობრივ მეწარმეებს ფასების შემცირებისკენ უბიძგებს. დამოკიდებულის თეორია მხარს უჭერს ენდოგენური ზრდის თეორიას,რომლის მიხედვითაც პოზიტიური ეფექტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არ არის მხოლოდ დამოკიდებული ინვესტიციების მოცულობაზე, არამედ დასაქმების, ტექნოლოგიების პროგრესისა და ეკონომიკური კავშირების ჩამოყალიბება დამოკიდებულია მიმღები ქვეყნის ადამიანური რესურსების შესაძლებლობებზე, რათა მოიზიდონ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიტიური ეფექტი ე.წ „შთანთქმის უნარი“. მასპინძელ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის შესახებ FDI-ის დადებითი გავლენა ადამიანური რესურსების ხარისხზეა დამოკიდებული, რომელიც უკვე დადასტურებულია არსებული კვლევებით, როგორიცაა ბორენსტეინი და სხვა. და ვანგი და ვონგი. ადამიანური რესურსების ხარისხთან ერთად, აღნიშნავს სხვა შთანთქმის შესაძლებლობებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდისა და

პირდაპირი ინვესტიციების ხელშეწყობისთვის, როგორიცაა სავაჭრო ღიაობა და ფინანსური განვითარების ხარისხი (Lamsiraroj and Ulubasoglu (2015). მასპინძელი ქვეყანა, რომელიც ღიაა საერთაშორისო სავაჭრო საქმიანობისთვის, უცხოური ინვესტიციების მიღებით ხელმისაწვდომს ხდის უფრო დიდ ბაზრებზე წვდომას, რომლის დროსაც მასპინძელი ქვეყნები ექსპორტის პლატფორმად გამოიყენება პროდუქტების გავრცელებაზე სხვადასხვა რეგიონებში. უფრო მეტიც, მაღალგანვითარებულმა ფინანსურმა ბაზრებმა შესაძლოა ასევე მიიღონ სარგებელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან, მიმღებ (მასპინძელ) ქვეყანაში, უცხოური კომპანიების აქტივობების ხელშეწყობით, რომლითაც ისინი შეამცირებენ ტრანზაქციულ დანახარჯებს და გაზრდიან შიდა დანაზოგებს. აგლობიორმა (2016) აღმოაჩინა მაგალითი, რომელიც გვაჩვენებს რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს არ აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე სუბ-საჰარული აფრიკის (Sub-Saharan African) ქვეყნებისთვის, რადგან ამ ქვეყნებში ფინანსური ბაზრები ნაკლებად განვითარებულია. ამ მოსაზრებას იზიარებს North (1981) რომელიც თვლის რომ ეს ინსტიტუციები არის ფუნდამენტური ფაქტორი ეკონომიკური ზრდის შესანარჩუნებლად. ეკონომიკურ ლიტერატურაში ეს არის ახალი მიმართულება, რომელსაც ე.წ. ახალი ინსტიტუციური ეკონომიკა ქვია. ინსტიტუციებს შეუძლიათ დიდი როლი ითამაშონ ტექნოლოგიების შეთვისების, სამუშაო ადგილების შექმნის, ეკონომიკის განვითარების მიმართულებით. როგორც ზემოთვე აღვნიშნეთ, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ინკლუზიურ ზრდას შორის კავშირი დამოკიდებულია ინკლუზიური ზრდის განმარტებასა და გაზომვის სხვადასხვა ხერხებზე . სიღარიბის კოეფიციენტი და შემოსავლებს შორის უთანასწორობა შეიძლება განვიხილოთ როგორც ინკლუზიური ზრდის ერთ-ერთ მთავარი ინდიკატორი, მათი საშუალებით შეგვიძლია განვსაზღვროთ რამდენად დადებითი ეფექტი აქვს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს და ეკონომიკურ ზრდას ადგილობრივ მოსახლეობაზე, შშმ პირების და სოციალურად დაუცველი ადამიანების ჩათვლით. ჩვენ ასევე განვიხილავთ

ისეთ შემთხვევებს სადაც FDI-ს შეუძლია ინკლუზიური განვითარების (ზრდის) მიღწევა. თეორიული ბექგრაუნდი დაფუძნებულია არსებულ ლიტერატურასა და ემპირიულ კვლევებზე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ინკლუზიურ ზრდაზე შეიძლება გაანალიზდეს პირდაპირი და არაპირდაპირი შედეგების მეშვეობით, სამი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, რომელთა შესახებ მეცნიერთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები იხილეთ ქვემოთ:

- **ეკონომიკური ზრდა** - სხვადასხვა მეცნიერები თვლიან რომ, ეკონომიკურ ზრდასა და უცხოური კაპიტალის აქციებს შორის უარყოფითი დამოკიდებულებაა(Bornschier, Chase-Dunn and Rubinson, 1978 and Dutt, 1997), მაშინ როცა ბლომშტრომი და სხვები მიიჩნევენ რომ, მათ შორის კავშირი პოზიტიურია და კორელაციაც დადებითია(Blomstrom, 1992), and Ram & Zhang, 2002). ლი და ლიუს კვლევების მიხედვით დასტურდება რომ, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ეკონომიკის ზრდას შორის დამოკიდებულება საკმაოდ ძლიერია, როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში(Li and Liu, 2005). თუმცა ამ მოსაზრების საპირისპიროს ამტკიცებს ჰაინი, რომელიც ამ ორ ფაქტორს შორის კავშირს ვერ ხედავს (Hein, 1992). სხვადასხვა წყარობის მიხედვით, იმპორტის შემცვლელმა პოლიტიკამ შეიძლება გაზარდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, თუმცა ქვეყნის ეკონომიკისთვის ეს ფაქტი კარგი სულაც არ იქნება და საგარეო ვაჭრობის მიმართულებით მის დაზიანებასაც კი გამოიწვევს. შეიძლება დავასკვნათ რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ბაზრის ღიაობა პირდაპირ კორელაციაშია ერთმანეთთან და ავითარებენ ერთმანეთს (Balasubramanyam & Salisu, 1991; Kravis & Lipsey, 1982; Jackson & Markowski, 1995; Basu, Chakraborty, & Reagle, 2003; Marino, 2000; Honglin, 2001)

- **დასაქმება** - ემპირიული თვალსაზრისით არსებობს მოსაზრება რომ, დასაქმების დონეზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადებით გავლენას ახდენს და მათი ზრდა მასპინძელ ქვეყანაში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდასაც იწვევს (Nunnenkamp, Alatorre-Bremont, Waldkirch, 2007), თუმცა კვლევები გვიჩვენებს რომ ტრანსნაციონალური (MNE) კომპანიების კონტრიბუციას მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკისთვის მრავალი ფაქტორი განაპირობებს (Driffield and Taylor's, 2000). პირველ რიგში, სამუშაო ადგილების დინამიკას შესვლის ფორმა განსაზღვრავს, მაგალითისთვის, გრინფილდები (ახალი საწარმო) გაცილებით მეტ სამუშაო ადგილს ქმნიან, ვიდრე უკვე არსებულის საწარმოში ჩადებული ინვესტიციები. ასევე მნიშვნელოვანია ინვესტიციის ტიპი, რადგან სხვადასხვა ტიპის ინვესტიციები სხვადასხვანაირად მოქმედებს დასაქმებაზე, მაგალითად ინვესტიციები პირველად ინდუსტრიებში იყენებენ ნაკლებ და კვალიფიციურ მუშა ხელს, მაშინ როცა მომსახურების ან წარმოების სექტორში ჩადებული ინვესტიციები იყენებს მეტ ადგილობრივ კვალიფიციურ თუ არაკვალიფიციურ მუშახელს, რაც თავის მხრივ ზრდის დასაქმებულთა რაოდენობას. დამატებით საკვლევ საგანს წარმოადგენს ტრანსნაციონალური კომპანიების გავლენა სამუშაო ძალის კვალიფიკაციაზე და ადამიანური რესურსების განვითარებაზე (Honglin, 2001; Hooley, Cox, Shipley & Fahy, 1996; Driffield and Taylor, 2000) ნაშრომებში ყალიბდება მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, დიდ ბრიტანეთში უცხოური კომპანიები უფრო მეტად "Skill intensive" არიან, ვიდრე ადგილობრივი ფირმები. ლოგიკურად ჩნდება მოსაზრება, რომ უცხოური ინვესტიციები ზრდიან არამხოლოდ დასაქმებულთა რაოდენობას, ასევე მათ კვალიფიკაციას, ხარისხს, მათზე მოთხოვნის მატების პარალელურად.

- **ტექნოლოგიები** - სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევებით დასტურდება რომ, FDI-სა და ფირმის პროდუქტიულობას შორის

დადებითი კავშირი არსებობს. (Barrel & Pain, 1997) გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში; (Caves, 1974) ავსტრალიაში; (Globerman, 1979) კანადაში; Blomstorm, 1986) მექსიკაში; ამის მიზეზი არის ის რომ ლოკალური კომპანიები არიან უფრო ეფექტურები იმ სექტორებში, სადაც უცხოური ინვესტიციებიც არის წარმოდგენილი (Blomstrom & Wolff, 1994). თუმცა არსებობს საპირისპიროს დამამტკიცებელი კვლევებიც, რომ FDI-ს და ინდუსტრიულ პროდუქტიულობას შორის არის ინვერსიული კავშირი, მეცნიერთა ნაწილი თვლის რომ, კვლევის და განვითარების მიმართულებით უცხოური კომპანიები უფრო მეტად მშობლიურ ქვეყნებში აქტიურობენ, ვიდრე მიმღებ (მასპინძელ) ქვეყანაში (Haddad & Harrison, 1993; Aitken & Harrison, 1999). Dunning, 1998).

მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, ტრანსნაციონალური კორპორაციები თამაშობენ პოზიტიურ როლს, ეკონომიკის განვითარების პროცესში, მხარს უჭერს მსოფლიო მეცნიერთა დიდი ნაწილი, ასევე მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციები. საერთაშორისო პროდუქტის ელასტიურობის თეორია (ანუ ოლის პარადიგმა), და ინვესტიციების განვითარების გზის კონცეფცია ჩამოყალიბებულია ჯონ დანინგის მიერ (John Dunning, 1981), ეს ორივე თეორია წარმოადგენს ინდუსტრიულ-ორგანიზაციული მიდგომის განვითარებას. მორტიმორის და ვერგარას აზრით, ტრანსნაციონალურ კორპორაციათა ინვესტიციებს აქვთ პოტენციალი ინოვაციებით და ტექნოლოგიების შეტანით მეტად განავითარონ მასპინძელი ქვეყნის ინდურსტრიები და აამაღლონ მათი კონკურენტიოანობა. (Mortimore, Vergara & Katz, 2001).

კვლევების უმეტესობა სწავლობს უცხოური ინვესტიციების დინამიკასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის დამოკიდებულებას, თუმცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, გარდა ზემოაღნიშნული ეკონომიკური ფაქტორებისა, ასევე დიდ გავლენას ახდენს

შიდა ბაზარზე კონკურენციის ამაღლების, წარმოების ეფექტურობის და ტექნოლოგიების ტრანსფორმაციის კუთხით (Potter, Moore & Spires, 2002)

იქიდან გამომდინარე რომ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასტიმულირებენ ტექნოლოგიების, კაპიტალის და ცოდნის გადადინების პროცესს, ისინი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ეკონომიკის განვითარებაზე, თუმცა მათი როლი ამ პროცესში იზრდება იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა იღებს ისეთ ინვესტიციებს, რომელიც აძლიერებს კონკურენციას, ზრდის დარგში მყოფი კომპანიების პროდუქტიულობას და ახალისებს მეზობელ ინდუსტრიებს, ასეთი ინვესტიციებით შექმნილი კომპანიებისთვის დამახასიათებელია , მარკეტინგული და მმართველობითი ინოვაციური მიდგომები, ტექნოლოგიების და ტექნოლოგიური პროცესები, რადგან, ტრანსნაციონალური კორპორაციის შვილობილი კომპანიები უფრო პროდუქტიულები არიან, ხშირად მათ ურჩევნიათ არა პირდაპირ ფილიალის, ან წარმომადგენლობის გახსნა, არამედ ტექნოლოგიების, სავაჭრო ნიშნის, და სხვა ზემოაღნიშნულის გადაცემა ადგილობრივ საწარმოებზე. (Taymaz and Yilmaz, 2008).

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ერთ-ერთი არხია, რომელიც მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკაში ადამიანური კაპიტალის ამაღლებას შეძლებს, თანამედროვე მენეჯმენტით და სამუშაო პროცესის გამუმჯობესების მეშვეობით (Ozturk 2007). პირდაპირ უცხოური ინვესტიციების განხორციელებას შეუძლია ეკონომიკური ზრდის სტიმულირება, მაგრამ ასევე უარყოფითი გავლენაც მოახდინოს შრომის ბაზარზე, უფრო მეტი ტექნოლოგიების გამოყენების გზით (Moura & Forte 2009), რომელიც გამოიწვევს მოთხოვნის შემცირებას. უცხოური ინვესტიციების სავარაუდო სარგებლის მიუხედავად, ბევრი ქვეყანა აქტიურად ცდილობს მოიზიდოს ინვესტიციები (Hanson, 2001). ამისთვის ისინი იყენებენ საგადასახადო შეღავათებს, საგადასახადო სტიმულებს, საგადასახადო შეთავაზებებს. აფრიკის ქვეყნებმა გამოიყენეს საგადასახადო შეთავაზებები, რათა მოეზიდათ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საგადასახადო შეთავაზებაში მოიაზრება

გარკვეული პერიოდი, რომლის დროსაც მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას საგადასახადო შეღავათი დაუწესოს ინვესტორს, ერთგვარი წამახალისებელი პროგრამა, რომლის მიზანია ინვესტიციების სტიმულირება დაბალი საგადასახადო ტვირთის შეთავაზებით. აღმოსავლეთ კარიბის ქვეყნებმა, საგადასახადო დათმობები 1996-2000 წლებში 9.5% -მდე 16% -მდე გაზარდეს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, გადასახადების ბალანსი და კაპიტალური ნაკადების ურთიერთობა არ არის პირდაპირი. პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ხშირად მიჩნეულია, როგორც სავალუტო ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების წყარო. დაფინანსება ხდის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს უფრო მდგრადს და ნაკლებად მგრძნობიარეს (Fischer 1997; Rubin & Wachtel 1999). მაგრამ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებამ შეიძლება რეალურად გააუარესოს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი გრძელვადიან პერსპექტივაში, როდესაც არსებობს მხოლოდ კაპიტალის(მოგების) გადინება მასპინძელი ეკონომიკისგან.

დაბალი კონკურენციის ინდუსტრიაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა უბიძგებს უკვე არსებულ საწარმოებს სიახლისა და რესურსების უკეთ განაწილებისკენ, გაუჩენს განვითარების სტიმულს. კონკურენციის ზრდამ შესაძლოა გამოიწვიოს დადებითი გავლენა ეკონომიკური ზრდაზე (Fortanier & Fabienne, 2007). ინვესტიციამ კონკრეტულ დარგში ასევე შეიძლება გამოიწვიოს მასთან დაკავშირებულ ინდურსტიების, სხვა ეკონომიკური სექტორების განვითარება და კონკურენციის გაზრდა, ასევე ზრდის შიდა ფირმების ჩართულობას. (Markusen & Venablse, 1999). (საქონლის წარმოების ინდუსტრიაში იზრდება სადისტრიბუციო კომპანიების როლი) მეორეს მხრივ, გაზრდილი კონკურენციისას, დიდი მასშტაბის და ბევრად უფრო ეფექტურმა საერთაშორისო კორპორაციამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ეკონომიკურ ზრდაზე შიდა ფირმების გაკოტრების გზით. შიდა ფირმები იძულებულნი ხდებიამ გადაერთვებიან უფრო კონცენტრირებულ ინდუსტრიაზე ან დატოვონ ბაზარი,

საერთაშორისო კორპორაციის მონოპოლისტურმა მდგომარეობამ შესაძლოა გამოიწვიოს რესურსების განაწილების გაუარესება და მიუღებელი საფასო პოლიტიკა, რაც საბოლოო ჯამში შეამცირებს კონკურენციას ბაზარზე. (Fortanier 2007).

მეთოდოლოგია

მცირე და საშუალო ბიზნესზე საინვესტიციო პოლიტიკის ზემოქმედების შესაფასებლად, ყველაზე ეფექტურად მივიჩნიეთ თვისობრივი კვლევის ჩატარება, რომელიც მოიცავდა ორ ეტაპს. პირველ ეტაპზე ჩვენ რესპოდენტებს წარმოადგენდნენ ექსპერტები და დარგის სპეციალისტები, რომლებიც ჩვენი აზრით კომპეტენტურები არიან საკვლევ საკითხში, და მათი პასუხებით ზოგადი სურათისა და დასკვნების გაკეთებას შევძლებდით, ხოლო მეორე ეტაპზე გამოვკითხეთ უცხოური ინვესტიციით დაფუძნებული მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები. რომლებიც უშუალოდ მათი საქმიანობიდან გამომდინარე შეაფასებდნენ ბიზნესგარემოს. თვისობრივი კვლევის სახეებიდან შევარჩიეთ სიღრმისეული ინტერვიუ, რომლის საშუალებითაც შევძლებდით მაქსიმალურად დეტალურად მიგვეღო საჭირო ინფორმაცია რესპოდენტისგან. უშუალოდ ექსპერტებთან და დარგის სპეციალისტებთან ინტერვიუს პროცესში არ ვხელმძღვანელობდით თანმიმდევრული, სტანდარტული კითხვარით, ამის მთავარი მიზეზი რესპოდენტისგან უფრო მეტი ინფორმაციის მიღება იყო. მაგრამ დამუშავებული სავარაუდო კითხვებისა და საკითხების ჩამონათვალით ვცდილობდით ინტერვიუს გეგმის ფარგლებში მიმდინარეობას. სიღრმისეული ინტერვიუს საშუალებით გვქონდა შესაძლებლობა ახალი თემები და საკითხები წამოგვეჭრა, რომელიც წინასწარ არ გვქონდა გათვალისწინებული, სწორედ ეს არის სიღრმისეული ინტერვიუს მთავარი უპირატესობა. ინტერვიუ მიმდინარეობდა მხოლოდ ღია კითხვებით, რომლის მეშვეობითაც პასუხებზე რესპოდენტებს სრული თავისუფლება ჰქონდათ, რაც დამატებით გვაძლევდა უფრო დეტალური და ღრმა ინფორმაციის მიღებას. საინვესტიციო პოლიტიკის შესაფასებლად, ჩვენი თვისობრივი კვლევის ძირითადი

რესპოდენტები გახლდათ ეკონომიკის ექსპერტები, რომლებიც უშუალოდ ამ საკითხების შესწავლით არიან დაკავებულნი, თვალს ადევნებენ და ჩართულნი არიან ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსა თუ ღონისძიებებში, აქვთ საკმარისი გამოცდილება, რომლის გაზიარებით ჩვენ შეგვიძლია ანალიზი გავუკეთოთ და შევაფასოთ საინვესტიციო პოლიტიკა და მისი გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესზე. ამავდროულად მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან ჩვენი კითხვები უფრო მარტივი და პრაქტიკული ხასიათის იყო და ყურადღება გავამახვილეთ იმ გარემოებებზე, რომელიც უშუალოდ მათ საქმიანობას ეხებოდა, დახურული კითხვებით ვეცადეთ შეგვეფასებინა საინვესტიციო პოლიტიკის ხელისშემშლელი/ხელისშემწყობი გარემოებები, რომელსაც მცირე და საშუალო ბიზნესი აწყდება.

თვისობრივი კვლევის ჩატარებისას ჩვენ დავეყრდენით OECD-ის მეთოდოლოგიას, სადაც ნათლად არის გაწერილი იმ ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც მთავარ როლს ასრულებენ ინვესტიციების ეფექტურ შემოდინებაზე, ამავე დროს თითოეულ ფაქტორს საკმაოდ დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ბიზნესგარემოზე. ჩვენ შევისწავლეთ და ჩამოვაყალიბეთ ის ძირითადი საკითხები, რომელზე პასუხებიც მოგვცემდა საშუალებას შეგვეფასებინა, თუ რა მდგომარეობაა საქართველოში ინვესტიციის მხრივ და რა გავლენა აქვს საინვესტიციო პოლიტიკას მცირე და საშუალო ბიზნესზე. რადგან ჩვენ რესპოდენტებს შეადგენს მხოლოდ გამოცდილი და დარგის მცოდნე ადამიანები, უპირატესობა მივანიჭეთ მხოლოდ სიღრმისეულ ინტერვიუს, რადგანაც სხვა კვლევის მეთოდების მსვლელობის დროს მიგვაჩნია რომ, წავაწყდებოდით რიგ პრობლემებს, რომელიც უშუალოდ საკითხების ნაკლებად შესწავლასთან იქნებოდა დაკავშირებული და რესპოდენტებს გაუჭირდებოდათ კითხვებზე პასუხის გაცემა.

კითხვარში განხილული ძირითადი საკითხები

სახელმწიფოს და ინვესტორების ურთიერთობა სხვადასხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული,, ამიტომ მნიშვნელოვანია თვისობრივად გაიმიჯნოს, რა ფაქტორები ახდენენ გავლენას საინვესტიციო გარემოზე და რა გავლენა აქვთ მათ მცირე და საშუალო ბიზნესზე.

საინვესტიციო პოლიტიკა გულისხმობს ქვეყნის კანონებს, რეგულაციებსა და პრაქტიკას, რომელიც უშუალოდ ხელს უწყობს ინვესტორისა და ინვესტიციის მოზიდვას, რაც ზრდის საინვესტიციო სარგებელს და დადებითად აისახება მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდა-განვითარებაზე. საინვესტიციო პოლიტიკა მოიცავს ინვესტორებისადმი ექსპროპრიაციისა და კომპენსაციის კანონების გამჭირვალე და არადისკრიმინაციულ შემუშავებას, დავების გადაწყვეტის პრაქტიკასა და საკუთრების დაცვას. ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკის ხარისხი უშუალო და პირდაპირ გავლენას ახდენს ინვესტორთა გადაწყვეტილებაზე, იქნება ეს ინვესტიცია მცირე თუ დიდი. გამჭირვალობა, საკუთრების დაცვა და დისკრიმინაცია საინვესტიციო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებია, რაც ხელს უწყობს ხარისხიანი საინვესტიციო გარემოს შექმნა.

საინვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრისა და შესაფასებლად საჭიროა განვიხილოთ ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც გავლენას ახდენენ საინვესტიციო გარემოს ეფექტურობაზე და ინვესტორების გადაწყვეტილებებზე.

ჩვენ განვიხილეთ შემდეგი საკითხები :

- **კანონი და რეგულაციები**

საინვესტიციო პოლიტიკა უნდა იყოს ცხადი და გასაგები ინვესტორებისთვის, ასევე უნდა არსებობდეს გარანტიები, რომ ინვესტიციის განხორციელების შემდეგ არ შეიცვლება ბაზარზე არსებული „თამაშის წესები“, რომელსაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა ქონდეს ინვესტორის საქმიანობაზე. კანონი და რეგულაციები არის მთავარი

ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორი ბიზნესსაქმიანობისთვის. ჩვენთვის საინტერესოა რა ნაბიჯებს დგამს მთავრობა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ინვესტიციები მცირე და საშუალო საწარმოებში, იყოს მარტივად ხელმისაწვდომი და გამჭირვალე. ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება თუ არა კონსულტაციები, ადგილობრივი კანონმდებლობისა და რეგულაციების გაცნობა დაინტერესებული პირთათვის, არსებობს თუ არა საკანონმდებლო ბაზა, რომელიც იცავს ინვესტორის უფლებებს.

- **საკუთრების რეგისტრაცია**

ინვესტორები დარწმუნებულები უნდა იყვნენ რომ საკუთრების უფლების გამოყენება იურიდიულად აღიარებული და დაცულია. სასოფლო-სამეურნეო , მიწის და სხვა საკუთრების ფორმების უსაფრთხო გადამოწმებული ინფორმაციები ინვესტორს აძლევს სტიმულს საქმიანობის დაწყებისთვის და ასევე ამცირებს თაღლითობისა და კორუფციის რისკებს.

საკუთრების რეგისტრაციასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ორი საკითხი, რამდენად მარტივია საკუთრების რეგისტრაცია მიმღებ ქვეყანაში და შემდგომ მათი დაცვის გარანტია.

- **ინტელექტუალური საკუთრება**

ინტელექტუალური საკუთრების უფლებები სტიმულს აძლევს ბიზნეს კვლევაში და განვითარებაში განახორციელონ ინვესტირება, ხელი შეუწყონ ინოვაციური პროდუქტისა და პროცესების შექმნას. მათ ასევე შესაძლებლობა ექნებათ ახალი ტექნოლოგიის გაზიარებით, ერთობრივი საწარმოებით და ლიცენზირების ხელშეკრულებით დააჩქარონ ეკონომიკის განვითარების მასშტაბები, რაც აისახება მაღალ პროდუქტიულობასა და ზრდის მაღალ ტემპებზე.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხები : რა კანონები და რეგულაციები განაპირობებენ საკუთრების უფლების დაცვას, რამდენად დაცულია და ვრცელდება აღნიშნული კანონები, რამდენად ეფექტურია სარეგისტრაციო პროცესი ხარჯებსა და დროის გათვალისწინებით, რამდენად გამართულია პროცესი დავებთან დაკავშირებით, რამდენად ხელმისაწვდომია ინტელექტუალური საკუთრების სისტემა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგნლებისთვის.

- **კონტრაქტები და დავის გადაწყვეტა**

ბიზნესის სწორად ფუნქციონირებისათვის კონტრაქტების შესრულება და დავების გადაწყვეტა ფუნდამენტურია. კარგი სააღსრულებო პროცედურები ხელს უწყობს ინვესტორებს პროგნოზირებადობას და გაურკვევლობის შემცირებას კომერციულ ურთიერთობებში, რადგანაც მათი კონტრაქტები დაცული იქნება ადგილობრივ სასამართლოებში. მაშინ როცა ბიუროკრატიას და კორუფციას აქვს ადგილი, და საკონტრაქტო დავები დროულად და ეფექტიანად ვერ გადაწყდება, ეკონომიკა ნაკლებად ეფექტიანია და ბიზნესგარემოც ნაკლებად მიმზიდველი.

ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენდა იურიდიული ინსტიტუტების როლი და პრაქტიკა, რომლებიც მხარს უჭერენ კონტრაქტის კანონის ეფექტურად განხორციელებას.

ასევე ალტერნატიული დავების მოგვარების სისტემები, რომლებსაც შესწევთ უნარი მხარეებს შორის არსებული დავა დროულად და სამართლიანად გადაჭრან.

- **ექსპროპრიაციის კანონი და განხილვის პროცესი**

გარკვეულ შემთხვევებში სახელმწიფოს აქვს უფლება ჩამოართვას კერძო მესაკუთრეს კუთვნილი ქონება საზოგადოებრივი საჭიროებისთვის. გზების, ელექტრო სადგურების და სხვადასხვა მიზნებისთვის, სახელმწიფოს უწევს უძრავი ქონების შესყიდვა. გარკვეულ გადაუდებელ შემთხვევებში.

როდესაც სახელმწიფო ქონების ექსპროპრიაციას ახდენს, ეს პროცესი რამდენად ადეკვატურად და ეფექტურად არის გაწერილი დროში, რამდენად გამჭირვალე და სამართლიანია განხილვის პროცესი და კომპენსაციის ანაზღაურება, რამდენად აქვს სუბიექტს დასაბუთებული უარის შემთხვევაში თავი დაიცვას სასამართლოს გზით და რამდენად სამართლიანია სასამართლოს გადაწყვეტილებები მსგავს საკითხებთან მიმართებით.

- **არადისკრიმინაციული პოლიტიკა შიდა და საერთაშორისო ინვესტორების მიმართებით**

არადისკრიმინაციული გარემო გულისხმობს ისეთს მიდგომას, სადაც მასპინძელ ქვეყანაში ნებისმიერი სხვა ქვეყნის მოქალაქე ითვლება უფლებრივად არანაკლებ უპირატესად ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყნის მოქალაქე (ინვესტორი), თუმცა ეს სულაც არ უნდა ნიშნავდეს იმას რომ ინვესტორს (რომელიც წარმოადგენს არარეზიდენტს) აქვს ადგილობრივ ინვესტორზე რაიმეთი აღმატებული უფლებები.

რა მდგომარეობაა საქართველოში ამ მხრივ და არსებობს თუ არა რეგულაციები, რომელიც ზღუდავს პირდაპირ ან ირიბად რომელიმე ქვეყნის მოქალაქეებს, და მათ საქმიანობას საქართველოში.

- **საერთაშორისო თანამშრომლობები და მათი პერიოდული გადახედვა**

საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებები ახდენენ კროს-ბორდერული ინვესტიციების წახალისებას, მათ შეუძლიათ შეამცირონ შეზღუდვები იმ სექტორებში რომლებიც დახურულია უცხოური ინვესტიციებისთვის. ისინი ქმნიან სტაბილურ ეკონომიკურ გარემოს და ზრდიან ნდობის ხარისხს. ეს ყოველივე სახელმწიფოს უწყობს ხელს მოიზიდოს მეტი ინვესტიცია, ამის გამო საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებების სიმრავლე და მრავალფეროვნება ქმნის უკეთეს საინვესტიციო გარემოს, სადაც მცირე და საშუალო ბიზნესს უჩნდება მეტი შესაძლებლობა მოიზიდონ სახსრები,

განავითარონ ბიზნესი და დაასაქმონ მეტი ადამიანი. ქვეყნისთვის საინვესტიციო გარემო არ არის სტატიკური მოვლენა. ვაჭრობის პირობები, ტექნოლოგიები და ზოგადად პოლიტიკები დროში მუდმივად ცვალებადია, ამიტომ როდესაც ხელისუფლება ცვლის მართვის პრინციპებს ან წესებს, იცვლება საინვესტიციო გარემოც, სწორედ ამიტომ, საინვესტიციო ხელშეკრულებების პერიოდული გადახედვა და მათი მორგება მიმდინარე გამოწვევებზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ამ ყოველივეს გათვალისწინებით, ჩვენი კვლევა მოიცავდა საქართველოს ჩართულობას საერთაშორისო ხელშეკრულებებში, როგორიცაა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, ასოცირების ხელშეკრულება და სხვა. მათი გავლენა ადგილობრივ მცირე და საშუალო ბიზნესზე, უცხოურ ინვესტიციებსა და ზოგადად ბიზნეს გარემოზე.

- **საერთაშორისო არბიტრაჟის ინსტრუმენტი**

საერთაშორისო არბიტრაჟი უზრუნველყოფს ინვესტორების და სახელმწიფოს საკამათო საკითხების სავალდებულო მოგვარებას. ძირითადად ეს ყველაფერი ეხება საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულების საკითხებს, ასეთი შეთანხმებების უმეტესობა შეიცავს დებულებებს საერთაშორისო არბიტრაჟის შესახებ. არბიტრაჟი არის დამოუკიდებელი, ეფექტური, სწრაფი და მოქნილი ორგანო, დავების გადასაწყვეტად, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს შიდა ინსტანციის სასამართლოების უზრუნველყოფას, არბიტრაჟი არის ერთგვარი უსაფრთხოების და საიმედოობის გარანტია, მისი არსებობა დადებითად აისახება საინვესტიციო გარემოზე და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო კომპანიების ოპერირებისთვის.

საქართველოში დღეის მდგომარეობით დამოუკიდებელი არბიტრაჟი არ ფუნქციონირებს რაც გვაძლევს ვარაუდის შესაძლებლობას რომ საინვესტიციო გარემოზე ცუდ ზეგავლენას ახდენს.

ჩვენი კვლევა დამყარებულია აღნიშნულ რვა პუნქტიან მეთოდოლოგიაზე, რომელთა შესწავლითა და ღრმა ანალიზით, ექსპერტებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შეგვეძლება შევაფასოთ საქართველოს საინვესტიციო პოლიტიკის ამჟამინდელი მდგომარეობა. დავინახოთ სად რა ეტაპზე ვართ და რა ძალისხმევებია საჭირო განვითარებისთვის.

შედეგები

ჩვენი კვლევის საგანს შეადგენდა საინვესტიციო პოლიტიკა და მისი გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესზე, ჩვენი კვლევა დაფუძნებულია საერთოშორისო მეთოდოლოგიაზე, რომელიც შედგება რვა კომპონენტისგან და თითოეულის შესწავლა დაგვეხმარებოდა მთლიანი სურათის დანახვაში, რადგან მეთოდოლოგიაში არსებული კომპონენტების ანალიზი და შეფასება მოითხოვს ღრმა ცოდნას, ამიტომ შევარჩიეთ თვისობრივი კვლევა და ჩვენ რესპოდენტებს წარმოადგენენ ეკონომიკის ექსპერტები და დარგის სპეციალისტები, დამატებით ბიზნესგარემოს შესაფასებლად უშუალოდ იმ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან გვქონდა საუბარი, რომელიც უცხოური ინვესტიციით არის დაფუძნებული.

- **კანონი და რეგულაციები**

ექსპერტებთან საუბრისას ყურადღება გამახვილდა, თუ რა საშუალებებით ხდება მთავრობის მიერ ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება. საინვესტიციო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სხვადასხვა ბიზნეს ფორუმების საშუალებით, რომლებიც იმართება როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ბოლო წლების განმავლობაში, საკმაოდ დიდი თანხა იხარჯება ასეთ ფორუმებზე მონაწილეობის მისაღებად, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, ტურიზმის, ბიო პროდუქტების წარმოების და ენერგეტიკის სფეროებს, ინვესტორებს საკმაო ინფორმაცია აქვთ ამ კონკრეტულ დარგებზე და შესაბამისად ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილიც სწორედ ამ დარგებზე მოდის. ინვესტიციის ხელშეწყობის მიზნით საქართველოში მთავრობის მიერ ხორციელდება დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციები, კანონმდებლობისა და რეგულაციების გამარტივება, არსებული და

შეთავაზებული რეგულაციების რეესტრების შემუშავება, მარეგულირებელი მასალების ელექტრონულად გავრცელება და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების გამოქვეყნება/განხილვა.

„საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ არსებობს საქართველოს კანონი, სადაც განმარტებულია ინვესტორების მოვალეობები, ინვესტიციების დაცვის გარანტიები და დავის გადაწყვეტის გზები, შეზღუდვები საინვესტიციო სფეროში, ასევე მიწასა და ბუნებრივ რესურსებზე ქონების უფლებების მოპოვების შესახებ.“

რათქმაუნდა, კანონები და რეგულაციები ყოველთვის ვერ არის საკმარისად გამჭირვალე , ასევე მისი სირთულე ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის მიწოდებას ყველა იმ საკითხზე, რაც გავლენას ახდენს ინვესტორის გადაწყვეტილებაზე. მთავრობის დაინტერესების საგანს წარმოადგენს სწორედ ინვესტორების ინფორმირება საკუთრების ფორმის, საინვესტიციო სტიმულირების, დაბეგვრის, კონკურენციის დაცვის და ადმინისტრაციული მოთხოვნების შესახებ. „საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, „საქართველოს კანონი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“, „საქართველოს კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ ეს ის საკანონმდებლო ბაზებია, რომლებიც იცავს და ხელს უწყობს ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხელშეწყობის საკითხებს.

- **საკუთრება**

საკუთრების რეგისტრაციასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ორი საკითხი, რამდენად მარტივია საკუთრების რეგისტრაცია მიმღებ ქვეყანაში და შემდგომ მათი დაცვის გარანტია.

„ვფიქრობ საკმაოდ ეფექტიანია, რეგისტრაციის მიმართულებით მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა ვართ, ბიზნეს რეიტინგების შედგენისას რეგისტრაციისა და

ფორმალური მხარეების გადაწყვეტას მუდამ მაღალი შეფასებები აქვთ და დიდ წილად განსაზღვრავენ საქართველოს ბიზნეს რეიტინგებს“

საქართველოში აღნიშნული ორი კომპონენტის მდგომარეობა განსხვავებულია და ამას საერთაშორისო რეიტინგებიც მოწმობს, მაშინ როცა ქონების რეგისტრაციით მსოფლიოში მე-4 ადგილს ვიკავებთ, ხოლო საკუთრების დაცვის რეიტინგში 88-ე ადგილს. საკუთრების დაცვა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ეკონომიკური განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვისთვის.

ინტერვიუს მსვლელობის დროს, საუბარი გვქონდა ინვესტორის უფლება-მოვალეობებზე, რამდენად გათანაბრებულია ადგილობრვებთან მათი უფლებები საკუთრების ფლობასთან და განკვარგვასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, როგორც ინვესტორი, ისე ადგილობრივი თანაბარი უფლებით სარგებლობს, გამონაკლის წარმოადგენს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების საკუთრების უფლების მოპოვებაზე მორატორიუმის გამოცხადება, რომლის მოქმედების პერიოდში ისინი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლებას ვერ დაარეგისტრირებენ.

მნიშვნელოვანია ინფორმაცია საკუთრების შესახებ მარტივად ხელმისაწვდომი იყოს ყველა დაინტერესებული მხარესთვის, რეგისტრაციისა და საკუთრების გადაცემის საფასურები, ასევე რეგისტრაციის ჩანაწერები საჯარო უნდა იყოს,

- **ინტელექტუალური საკუთრება**

ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობა საქართველოში განვითარების პროცესშია და ასოცირების შეთანხმების საფუძველზე მაქსიმალურად ახლოსაა ევროკავშირის სტანდარტებთან, რაც გულისხმობს ხარისხის ამაღლებას და საკუთრების უფლებების დაცვის გარანტიებს, რაც ხელს შეუწყონს ინოვაციების და კვლევის განვათარებას და მასში განხორციელებულ ინვესტიციებს.

საქპატენტი უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების დაცვას, რესპოდენტები თანხმდებიან იმაზე რომ საკანონმდებლო ბაზა მაქსიმალურად დაუახლოვდა ევროკავშირის კანონმდებლობას, მაგრამ პრობლემა გამოხატულია კანონდებლობის აღსრულებასთან, საზოგადოების ცნობიერების დონე ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით მაინც დაბალია, მაგრამ ყოველწლიურად შესამჩნევია გაუმჯობესება ამ მხრივ. საკუთრების უფლების დაცვა ასახულია ევროკავშირის ასოცირებაშიც,

საქართველო ინტელექტუალური საკუთრების ინდექსით 74 ადგილს იკავებს 125 ქვეყანაში, 2012 წელს გამოქვეყნებულ რეიტინგში, სადაც საუბარია პირატული პროგრამების შესახებ, საქართველო წარმოდგენილია 91%-ით , რაც გულისხმობს რომ გამოყენებული პროგრამული საშუალებების 91 % უკანონოდ გამოიყენება. ინტელქტუალური საკუთრების დამკვიდრებას და პირატული გამოყენების შემცირებს ხელს უშლის მოსახლეობის დაბალი სოციალური ფონი, რომელთაც არ შესწევთ შესაძლებლობა ისარგებლონ კანონის ფარგლებში და გადაიხადონ გადასახადები. ასევე ინტელექტუალურ საკითხებთან დაკავშირებული დავები დროში გაწელილია, რაც ხელს უშლის ბიზნესის სწრაფად და ეფექტურად ფუნქციენირებას.

- **დავების გადაწყვეტა და კონტაქტები**

მხოლოდ კანონმდებლობის შემუშავება არ არის საკმარისი, აუცილებელია იურიდიული ინსტიტუტების როლი და პრაქტიკა, რომლებიც მხარს უჭერენ კონტრაქტის კანონის ეფექტურად განხორციელებას. იურიდიული ინსტიტუტებია სასამართლოები, რომელიც დამოუკიდებელი და კომპეტენტური უნდა იყოს სააღმსრულებლო და სამართალწარმოების პროცესის ორგანიზებაში. მათი მდგომარეობა არის გადამწყვეტი, რომელიც გავლენას ახდენს თანასწორუფლებიანობაზე და რაც მთავარია ნდობა, რომელიც ინვესტორის გადაწყვეტილებაზე ახდენს გავლენას.

სასამართლო სისტემის მეშვეობით სამართალწარმოება არის ძვირი და დროში გაწელილი, ამიტომ მნიშვნელოვანია არსებობდეს ალტერნატიული დავების მოგვარების სისტემები, რომლებიც შეეცდებიან მხარეებს შორის არსებული დავის დროულ და სამართლიან გადაჭრას. ექსპერტების აზრით, დღეს საქართველოში სამოქალაქო სექტორის დავების მოგვარების მთავარ პრობლემას წარმოადგენს, სასამართლოების გადატვირთულობა, დავები დროში იწელება, ამ მხრივ 2019 წელს იუსტიციის სამინისტრომ საკანონმდებლო ცვლილებები მოამზადა და წარუდგინა მთავრობას, რომელიც გულისხმობს ალტერნატიული დავის მექანიზმს, „მედიაციის" ინსტიტუტის შექმნას, რომელიც უზრუნველყობს დავების ეფექტიანად , სწრაფად და ნაკლები დანახარჯით მოგვარებას. ინსტიტუტის მთავარი ამოცანაა ძვირადღილებული სასამართლო პროცესების გარეშე დავების მოგვარება. მედიაცია ბიზნესისთვის დავების მოგვარების უფრო ეფექტიანი და მოხერხებული გზაა, რომლის მიზანი ორივე მხარესთვის მოკლე დროში ნაკლები ფინანსური დანახარჯით.

მიუხედავად მედიაციის რიგი უპირატესობისა, არსებობს ფაქტორები რაც მის განვითარებას ხელს უშლის. ეს ფაქტორებია : ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის არარასებობა, არაპოპულარობა და საზოგადოების უნდობლობა, კვალიფიციური (სერტიფიცირებული) მეტიატორების ნაკლებობა, საკანონდმებლო გარანტიების არარსებობა, ეთიკის სტანდარტების, პასუხისმგებლობის სტანდარტისა და სანქციების გამართული სისტემის არარსებობა.

საკანონმდებლო ბაზა ერთ ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია, რასაც ინვესტორები აწყდებიან. მოძველებული კანონმდებლობა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან და დროშიც საკმაოდ გაწელილია, რაც აფერხებს ბიზნესსაქმიანობას.

- **ექსპროპრიაცია**

მნიშვნელოვანია განხილვის პროცესი, რამდენად სწრაფად ხდება კერძო ადამიანების უარის შემთხვევაში მათი ქეისების განხილვა, რამდენად არის იმის შესაძლებლობა რომ, ადამიანს ქონდეს საკუთარი ქონების დაცვის საშუალება, სასამართლოს ან კერძო არბიტრაჟის მხრიდან, ჩვენს შემთხვევაში, ამ მხრივ ბევრი პრობლემაა, საკანონმდებლო დონეზე ზემოთხსენებული შესაძლებელია, თუმცა ამ ყველაფერს აზრს უკარგავს დროის ეფექტურობა და პროცესის არაგამჭვირვალედ წარმართვა.

სახელმწიფო ექსპროპრიაციის დადგომის მომენტში მკაფიოდ უნდა აყალიბებდეს იმ მიზეზებს რის გამოც ისინი კერძო საკუთრების გამოყენებას აპირებენ, რამდენად ჯდება ეს იმ ჩარჩოებში, რომლებიც საერთაშორისო სამართლით არის გათვალისწინებული და ხომ არ აქვს ადგილი არამიზნობრივ ქმედებას.

მსოფლიოში მიღებული პრაქტიკის მიხედვით ქვეყანაში საჭიროა შემუშავებული იყოს ექსპროპრიაციასთან დაკავშირებული შემდეგი სახის პოლიტიკები: i) არადისკრიმინაციული მიდგომა (ეთნიკური წარმოშობა და ა.შ არ უნდა იყოს კონფისკაციის მიზეზი.) ii) ადეკვატური კომპენსაციის მოცულობა, iii) აპელაციის შესაძლებლობის პროცესი, iv) კომპენსაციის გამოთვლის პროცედურების არსებობა (მეთოდები რომლითაც გამოითვლება კომპენსაციის მოცულობა, გუდვილი, გადასაყიდი ფასი, ცვეთა, სპეციფიკური ფაქტორების გათვალისწინებით).

ასევე მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი განმხილველი ორგანოს არსებობა, რამდენად დამოუკიდებელია ის განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება (თუნდაც სახელმწიფოს საპირისპიროდ) და რამდენად აქვს მას შესაძლებლობა გააუქმოს სახელმწიფო გადაწყვეტილება ექსპროპრიაციასთან დაკავშირებით.

ქვეყანაში განხორციელებული დიდი პროექტების გამო ექსპროპრიაციის შემთხვევების რიცხვი იზრდება, ამის ძირითადი მიზეზი სახელმწიფოსა და მესაკუთრეებს შორის გაყიდვისა და შემდგომ ფასზე შეუთანხმებლობაა, მსგავსი შემთხვევები დაფიქსირდა როგორც ანაკლიის პორტის პროექტზე, ასევე ბათუმის შემოვლითი გზის

მშენებლობაზე. 4 კომპანიის და 18 მოქალაქის ქონება ექსპროპრიაციას დაექვემდებარა ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობის ფარგლებში. (ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით). მსგავსი ფაქტები ეჭქვეშ აყენებს საკუთრების ხელშეუხებლობას და უარყოფითად აისახება ბიზნესზე, ასევე ცუდი გზავნილია ინვესტორებისთვის.

ჩვენს მიერ გამოკითხული ექსპერტების და დარგის სპეციალისტების აზრით, ექსპროპრიაციის კომპენსირება მეტ-ნაკლებად საბაზრო ფასებით ხორციელდება, თუმცა ჩამორთმეული ქონების მესაკუთრის უფლებები, გასაჩივრებასთან დაკავშირებით ხშირად უგულებელყოფილია ხოლმე, ამის მთავარი მიზეზი სასამართლო სისტემაში არსებული ისეთი პირობებია, რაც დროში ძალიან წელავს პროცესს და ხელს უშლის ადამიანებს საკუთარი სიმართლის თუ უფლებების დაცვაში. ერთ-ერთ რესპოდენტს მიაჩნია რომ, კერძო მესაკუთრისთვის მისი ქონება სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით შეიძლება საბაზრო ფასზე მეტი ღირდეს, თუმცა რამდენად მიზანშეწონილია ამის განხილვა ეს ცალკე კვლევის თემაა.

- **არადისკრიმინაციული პოლიტიკა შიდა და საერთაშორისო ინვესტორების მიმართებით**

არადისკრიმინაციული მიდგომა გულისხმობს ისეთს მიდგომას, სადაც მასპინძელ ქვეყანაში ნებისმიერი სხვა ქვეყნის მოქალაქე (ინვესტორი) ითვლება უფლებრივად არანაკლებ უპირატესად ვიდრე ნებისმიერი მესამე ქვეყნის მოქალაქე (ინვესტორი), ეს სულაც არ ნიშნავს იმას რომ ინვესტორს (რომელიც წარმოადგენს არარეზიდენტს) აქვს ადგილობრივ ინვესტორზე რაიმეთი აღმატებული უფლებები. ჩვენს შემთხვევაში, საქართველოში ინვესტორი უფლებრივად თითქმის გათანაბრებულია რეზიდენტ ინვესტორთან.

არის შემთხვევები როცა სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოებიდან გამომდინარე უწევს რეგულაციების შემოღება, რაც შეიძლება მიმართული იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე ინვესტორების წინააღმდეგ (ირიბად თუ პირდაპირ), ართულებდეს ბაზრის

ღიაობას რაც ნეგატიურად აღიქმება ინვესტორების მხრიდან და ამცირებს ქვეყანაში შემომავალი ინვესტიციების და შესაბამისად კაპიტალის, ცოდნის და ახალი ტექნოლოგიების მოცულობას.

ინვესტიციასთან დაკავშირებული კაპიტალის მოძრაობის თავისუფლება და ლიკვიდურობა, მნიშვნელოვანია ნებისმიერი კომპანიისთვის, რათა საკუთარი სახსრების სხვადასხვა ქვეყანაში დაუბრკოლებლად მოძრაობა უზრუნველყონ, თუმცა სახელმწიფოებს ხშირად უწევთ ამ თავისუფლების შეზღუდვა, საგადამხდელო ბალანსის სიძნელეებისგან დასაცავად. ეს ყოველივე პრობლემებს უქმნის ადგილობრივ კომპანიებსაც, რომლებსაც ურთულდებათ კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებზე წვდომა, ამიტომ ასეთი ტიპის შეზღუდვები უნდა გადაიხედოს პერიოდულად. მთავრობებს ყოველთვის აქვთ უფლებამოსილება გადახედონ კანონებს და მიიღონ შესაბამისი ზომები სიძნელეების თავიდან ასაცილებლად. ამის ნათელი მაგალითი გვაქვს დედოლარიზაციის პროგრამის სახით, როდესაც 2016 წლის დასაწყისში, მთავრობის გადაწყვეტილებით უცხოურ ვალუტაში დაკრედიტება გარკვეულწილად შეიზღუდა. ჩვენს მიერ გამოკითხული ექსპერტების და დარგის სპეციალისტების აზრით, გარემო ცალსახად არადისკრიმინაციული და პოზიტიურია, უცხოელი ინვესტორებისთვის, რაზეც საერთაშორისო რეიტინგებსაც იმოწმებენ, თუმცა ყველა მათგანი ხაზგასმით აღნიშნავს, გამონაკლისს, რომელიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ფლობის საკითხთან, როგორც ვიცით, უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკურ პირს არ შეუძლია დაირეგისტრიროს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რაც თავის მხრივ მათთვის დისკომფორტის შემქმნელია, თუმცა ჩვენი რესპოდენტები ამ ფაქტორის ცალსახად უარყოფითად შეფასებისგან თავს იკავებენ.

- **საერთაშორისო თანამშრომლობა და მათი პერიოდული გადახედვა**

საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებები ახდენენ კროს-ბორდერული ინვესტიციების წახალისებას, მათ შეუძლიათ შეამცირონ შეზღუდვები იმ სექტორებში რომლებიც დახურულია უცხოური ინვესტიციებისთვის და სტაბილურობას უნარჩუნებენ უფლებებს და მოვალეობებს და ხდიან მათ უფრო ადვილად პროგნოზირებადს. ეს ყოველივე სახელმწიფოს უწყობს ხელს მოიზიდოს მეტი ინვესტიცია რესპოდენტთა ნაწილი თვლის, რომ საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებების ფართო გავრცელება ქმნის უკეთეს საინვესტიციო გარემოს, თუმცა ზოგიერთი მათგანი აყალიბებს განსხვავებულ აზრს და მიაჩნიათ რომ მსგავს საკითხებში უფრო ეფექტური კერძო სუბიექტებს შორის თანამშრომლობა იქნება:

„საქართველო სხვა ქვეყნებთან დებს საინვესტიციო ხელშეკრულებებს, ეს არის ინდივიდუალური და საინვესტიციო სპეციფიკიდან გამომდინარე, რითაც თანხმობას აცხადებს უზრუნველყოს ინვესტორების პირობები და მათი დაცულობა, თუმცა ინვესტიციების დაბალი შემოსულობებიდან გამომდინარე , სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი მოქმედებები არაეფექტიანად უნდა შევაფასოთ. ინვესტორი საინვესტიციო გარიგებებს უნდა აწარმოებდეს არა სახელმწიფოსთან, სადაც მაღალია კორუფციის რისკები, არამედ კერძო მესაკუთრეებთან, სადაც ორივე მხარის მიზანი არის მაქსიმალური მოგების მიღება.“

- **საერთაშორისო არბიტრაჟის ინსტრუმენტი**

არბიტრაჟი არის დამოუკიდებელი, ეფექტური, სწრაფი და მოქნილი ორგანო, დავების გადასაწყვეტად, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს შიდა ინსტანციის სასამართლოების უზრუნველყოფას, არბიტრაჟი არის ერთგვარი უსაფრთხოების და საიმედოობის გარანტია, მისი არსებობა დადებითად აისახება საინვესტიციო გარემოზე და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო კომპანიების ოპერირებისთვის. ჩვენს მიერ გამოკითხულმა რესპოდენტებმა მოგვაწოდეს შემდეგი სახის ინფორმაცია:

„საქართველოში გვაქვს საარბიტრაჟო ცენტრი, მისი ეფექტიანობა განისაზღვრება სამართლიანობითა და დავების მოკლე დროში გადაწყვეტის გზით, ამ მხრივ ეფექტიანი იქნებოდა, რომ ეს საარბიტრაჟო ცენტრები იყოს კერძო, შედიოდნენ ერთმანეთთან კონკურენციაში და ბევრად ეფექტიანად მოემსახურონ მომხმარებელს ვიდრე დღეს ამას სახელმწიფოს გზით ანხორციელებენ.“

საარბიტრაჟო ცენტრი ნაკლებად არის ხელმისაწვდომი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის, რაც საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობას უქმნის ამ SME-ებს.

როგორც დარგის სპეციალისტების, ექსპერტების, ინვესტორებისა და მათი წარმომადგენლების ინტერვიუების დროს შევიტყვეთ, მცირე ბიზნესის ხელშესაწყობად სახელმწიფო პოლიტიკა მეტ-ნაკლებად დადებითად არის შეფასებული, განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა, პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომელსაც რამდენიმე კომპონენტი გააჩნია და სხვადასხვა სახის პრობლემების აღმოფხვრის კუთხით გარკვეულ ნაბიჯებს დგამს, თუმცა ზოგიერთი ექსპერტის აზრით ასეთი სახის ჩარევები ხელს უშლის ჯანსაღი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას და კაპიტალისტურ სამყაროში ერთგვარ არაპოპულარულ ნაბიჯად აღიქმება.

შედეგების ინტერპრეტაცია

გარდა ექსპერტების და დარგის სპეციალისტებისა, ჩვენ ასევე მოვახდინეთ უშუალოდ ინვესტორებთან ინტერვიუების გამართვა, მათთან გასაუბრების შედეგები იხილეთ ქვემოთ მოცემულ გრაფიკებზე.

გრაფიკი N5 მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების კმაყოფილება საკანონმდებლო ბაზით.



როგორც გრაფიკიდანაც ჩანს, ჩვენს მიერ გამოკითხული მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელი ინვესტორების მნიშვნელოვანი ნაწილი უკმაყოფილოა საკანონმდებლო ბაზით, თუმცა უნდა აღვნიშნოთ რომ, კითხვაზე თუ რა იწვევდა მათ უკმაყოფილების მიზეზებს, ისინი ხშირად ისეთ საკითხებს ასახელებდნენ, რომლებიც არა უშუალოდ საკანონმდებლო ბაზის სისუსტეს, არამედ კანონების იმპლემენტაციას უკავშირდებოდა, ინვესტორებს გარკვეულწილად, ეთანხმებოდნენ ექსპერტებიც, რომლებიც თვლიდნენ, რომ ჩვენი საკანონმდებლო ბაზა გარკვეულ საკითხებში

ხარვეზიანია და ვერ უზრუნველყოფს სამართლიან თამაშის წესებს, ერთ-ერთი ასეთ საკითხად გამოიკვეთა, კანონების ხშირი და უსისტემო ცვლა.

გრაფიკი N6

საერთაშორისო შეთანხმებების შედეგები მცირე და საშუალო ბიზნესში



ჩვენს მიერ დასმულ კითხვაზე, უსარგებლიათ თუ არა ინვესტორებს რომელიმე საერთაშორისო შეთანხმების შედეგად მიღწეული რაიმე შედეგით, მათი უმეტესობის პასუხი იყო, არა, კითხვაზე ჩაღრმავების შემდეგ ირკვეოდა, რომ მათი დიდი ნაწილი არ სარგებლობდა არც ევროკავშირთან და არც ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით, რისი მთავარი მიზეზიც ინფორმაციის არ ქონა იყო, ექსპერტების პასუხი იგივე თემის კითხვაზე, თუ რამდენად გაამართლა და რა შედეგი ქონდა თავისუფალი ვაჭრობების გაფორმებას მცირე და საშუალო ბიზნესზე, უმეტესად თანხვედრაში იყო ამ შედეგებთან, ექსპერტები და დარგის სპეციალისტების აზრით, ნაკლები კომუნიკაცია არის ის მთავარი მიზანი რაც ამ სიკეთეებით ვერ სარგებლობას უკავშირდება.

გრაფიკი N7 რამდენად ხდება MNE-ებიდან უნიკალური რესურსების გადადინება ადგილობრივ მცირე და საშუალო კომპანიებში



როგორც გამოკითხვიდან დავადგინეთ, უცხოური ინვესტიციების უმრავლესობა საკუთარ უნიკალურ რესურსებს (იგულისხმება: ცოდნა, ტექნოლოგიები, მართვის ტექნიკები და ა.შ.) არ გადასცემდნენ ადგილობრივ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელ კომპანიებს, ამ ყველაფრის მიზეზი კი როგორც გაირკვა მათ შორის კავშირის თითქმის არ არსებობაა, ჩვენს მიერ გამოკითხული უცხოური კომპანიები ნაკლებად თანამშრომლობდნენ ადგილობრივ მცირე და საშუალო ბიზნესთან.

გრაფიკი 8 რამდენად კმაყოფილია მცირე და საშუალო ბიზნესი საკუთრების უფლების დაცვით.



ინვესტორების დიდი ნაწილი თვლიდა რომ საქართველოში საკუთრების უფლება დაცულია, რასაც ეთანხმებოდნენ ექსპერტები, რომლებსაც მიაჩნიათ რომ, საკუთრების უფლება საკმაოდ დაცულია, თუმცა რისკს ხედავდნენ ოკუპირებული რეგიონების და მათზე განთავსებული უცხო ქვეყნის საჯარისო შენაერთების არსებობის გამო, რაც თავის მხრივ ინვესტორებისთვის ხელის შემშლელ და დამაბრკოლებელ ფაქტორად მიაჩნდათ.

ინვესტორებს დავუსთვის კითხვა ექსპროპრიაციასთან დაკავშირებით, თუმცა როგორც გაირკვა, არცერთ მათგანს არ შეხებია ექსპროპრიაცია და შესაბამისად, მათ არ ქონდათ ჩამოყალიბებული მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით.

გრაფიკი N9 რამდენად დისკრიმინაციულია საქართველოში ბიზნეს გარემო



ინვესტორებთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ მათი დიდი ნაწილი საქართველოს ბიზნეს გარემოს არადისკრიმინაციულად თვლიდა და მიაჩნდათ რომ მათი უფლებები თვისობრივად იგივე დონეზე იყო როგორც ადგილობრივების, ამ მოსაზრებას ეთანხმებიან ექსპერტები და გამონაკლისად აღნიშნავენ, სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთების შესახებ, ბოლო პერიოდში გამოცხადებული მორატორიუმი.

ცხრილი N1 - საქართველოში ბიზნესის კეთების ხელისშემშლელი ფაქტორები

	შედეგები
მაკროეკონომიკური სტაბილურობა	3.6
სესხის ღირებულება	3.5
ინფრასტრუქტურა	2.8
პოლიტიკური არასტაბილურობა	3.1
სამუშაო ძალა	2.4

ჩატარებული კვლევა მოიცავდა ბიზნესის ხელისშემშლელი ფაქტორების შეფასებას, რესპოდენტებს საშუალება ქონდათ 1-დან 5-მდე ქულებით შეეფასებინათ, ის ფაქტორები, რომლებიც ჩვენი აზრით ყველაზე მეტად აბრკოლებს ბიზნეს. (1-ყველაზე ნაკლებად აბრკოლებს, 5-ყველაზე მეტად). შედეგებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, მაკროეკონომიკური სტაბილურობა მთავარ პრობლემას წარმოადგენს ინვესტორებისთვის,(ინფლაცია, არასტაბილური ვალუტა), ინვესტორთა გამოკითხვის შედეგად, გასაშუალოებულ მონაცემებში ნათლად გამოჩნდა კიდევ ერთი პრობლემა, რომელთა შესახებ ასევე საუბრობდნენ ექსპერტებიც, ეს არის სესხის ღირებულება, საქართველოში ფინანსებზე წვდომის თითქმის ერთადერთ საშუალებას კომერციული ბანკები წარმოადგენენ, მათი პროცენტები კი კონკურენციის არარსებობის პირობებში

საკმაოდ მაღალია, შესაბამისად მცირე და საშუალო ბიზნესს ძალიან უჭირს ფინანსების მოძიება, რაც გამოკითხვის შედეგებმაც ცხადყო.

ცხრილი N2 - საქართველოში ბიზნესის კეთების ხელისშემწყობი ფაქტორები

	შედეგები
ბიზნესის დაწყების გამარტივებული პროცედურები	4.8
ლიცენზიები და ნებართვები	4
გადასახადები	3.8
კორუფციის დაბალი დონე	3.2
სამუშაო ძალა	3

ინვესტორთა დიდი ნაწილისთვის ბიზნესის კეთების ხელშემწყობ დადებით ფაქტორს წარმოადგენდა ბიზნესის დაწყების სიმარტივე, ასევე ლიცენზიების და ნებართვების გაცემის სიმარტივე და გამჭირვალობა, სამუშაო ძალა აღმოჩნდა როგორც ხელისშემშლელ ისე ხელისშემწყობ ფაქტორებში, რისი მიზეზიც კარგად ჩამოგვიყალიბეს ექსპერტებმა, მათი აზრით, იაფი მუშახელი არის ის ფაქტორი რაც ბიზნესის კეთებას ხელს უწყობს, ნაკლებად ტექნოლოგიურ დარგებში, თუმცა ხელისშემშლელი ფაქტორი მუშახელის დაბალი კვალიფიკაცია და გარკვეული დარგის სპეციალისტების კრიტიკული დეფიციტია.

გრაფიკი N10 ინვესტორის კმაყოფილების კვლევა



როგორც გრაფიკზეც ხედავთ, შემაჯამებელ კითხვაზე, რამდენად კმაყოფილები იყვნენ ინვესტორები საქართველოში ინვესტირებით, უმეტესი მათგანის პასუხი დადებითი იყო, ისინი საბოლოო ჯამში დადებითად აფასებდნენ საქართველოს ბიზნეს გარემოს და თვლიდნენ, რომ მათ მცირე და საშუალო ბიზნესს საქართველოში ზრდის პოტენციალი დიდი აქვს.

დასკვნა და რეკომენდაციები

დასკვნა

როგორც ზემოაღნიშნულ თავებში აღვნიშნეთ, ჩვენ შევისწავლეთ სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის მართვა საქართველოში და მისი გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესზე, ექსპერტების, დარგის სპეციალისტების და მცირე და საშუალო ბიზნესის (უცხოური ინვესტიციების), გამოკვლევის, მათთან გასაუბრების და სიღრმისეული ინტერვიუს საშუალებით, როგორც მათი პასუხებიდან გაირკვა, გამოიკვეთა შემდეგი სახის ძირითადი პრობლემები:

- საინფორმაციო გარემო, რომელიც ხშირად უშლის ხელს მიღწეული შეთანხმებების თუ განსახორციელებელი პროექტების ეფექტურად განხორციელებას.
- საკანონმდებლო ბაზა და სასამართლო სისტემის არაეფექტურობა.
- პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, რაც აზიანებს როგორც მცირე და საშუალო ისე ზოგადად ბიზნესს და ბიზნესგარემოს.
- არაკვალიფიციური სამუშაო ძალა, რაც ხელს უშლის მაღალტექნოლოგიური დარგებში უცხოური ინვესტიციების შემოსვლას.
- ფინანსებზე გართულებული წვდომა და სესხის დიდი ღირებულება.

ინტერვიუების საშუალებით ასევე გამოიკვეთა ის მიმართულებები რაც ხელს უწყობს ინვესტიციებს და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას:

- ბიზნესის დაწყების სიმარტივე, რაც საშუალებას აძლევს ნებისმიერ რეზიდენტ და არარეზიდენტ ადამიანს დაიწყოს ბიზნესი ძალიან სწრაფად, ზედმეტი პროცედურების და ფორმალობების გარეშე.
- სხვადასხვა სახის საგადასახადო შეღავათები, რომლებითაც სარგებლობენ მცირე ბიზნესის წარმომადგენლები, მცირე და მიკრო ბიზნესის სტატუსები.
- იაფი მუშახელი.
- სხვადასხვა სახის ბიზნესისთვის დაწესებული შეღავათები, როგორებიცაა „აწარმოე საქართველო"-შის სესხის თანადაფინანსების კომპონენტი.

განხილული საკითხების სიმწვავე და აქტუალურობა დაგვიდასტურა როგორც უშუალოდ ინვესტორებთან, ისე ექსპერტებსა და დარგის სპეციალისტებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა, გამოყოფილი საკითხების ირგვლივ წარმოიშვა უამრავი მოსაზრება თუ როგორ უნდა გადაწყვეტილიყო, ან გამოყენებულიყო ეს ფაქტორები მცირე და საშუალო ბიზნესის განსავითარებლად, ინვესტიციების მოცულობის გასაზრდელად და ეკონომიკის სტიმულირებისთვის, ამ და სხვა საკითხებზე ჩვენი მოსაზრებები იხილეთ რეკომენდაციების ქვეთავში.

რეკომენდაციები

ჩვენს მიერ შესწავლილი საკითხის შედეგად გამოკვეთილი პრობლემების აღმოსაფხვრელად ვთვლით, რომ საჭიროა გარკვეული რეკომენდაციების გათვალისწინება, სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის უკეთესი შედეგების მისაღწევად საჭიროდ მიგვაჩნია საკანონმდებლო ბაზის დახვეწა, რაც თავის მხრივ გულისხმობს, უკეთესი კანონების და მათი აღსრულების მექანიზმის შექმნას, კერძო არბიტრაჟის სტრუქტურის ხელშეწყობა და განვითარება, რაც გააუმჯობესებს საინვესტიციო და ბიზნეს გარემოებს, მისცემს მცირე ბიზნესებს საშუალებას,

საკანონმდებლო დონეზე დაიცვან თავი შესაძლო გადაცდომებისგან და რაც მთავარია ეფექტურად და ნაკლები დანახარჯებით,, ეს აისახება ინვესტიციების მოცულობაზე, ასევე მნიშვნელოვანია ფულად სახსრებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ამ კომპონენტში თემის სპეციფიკურობიდან და სენსიტიურობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს უხეში ჩარევა დაუშვებელია, თუმცა, გარკვეულწილად მას აქვს ვალდებულება შექმნას ან ხელი შეუწყოს კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას, ამისთვის აუცილებლად მიგვაჩნია ალტერნატიული ფინანსების წყაროების გაჩენა, ჩვენი რეკომენდაციით კარგი იქნება საფონდო ბირჟის გახსნა (უფრო ზუსტად კი საბანკო სფეროსგან დახსნა), რაც აუცილებლად გამოიწვევს როგორც ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას, ასევე მისცემს ბიძგს საბანკო სფეროს შეამციროს პროცენტები სესხებზე, ეს ყოველივე კი გამოიწვევს როგორც სესხის ღირებულების კლებას, ასევე ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას, გააჩენს მეტ კონკურენციას და ხელს შეუწყობს მცირე ბიზნესის განვითარებას.

კიდევ ერთ გამოკვეთილ პრობლემას წარმოადგენდა ინფორმაციული ვაკუუმი, რომელიც ხშირად არაკოორდინირებული ინფორმაციის მიწოდებით იყო განხორციელებული, რაც წარმოშობდა ბზარს სახელმწიფო პროგრამებს, საერთაშორისო ხელშეკრულებების შედეგად ნაკისრი ვალდებულებების თუ მიღებული ბენეფიტების შესრულებასა და მცირე და საშუალო ბიზნესს შორის, სახელმწიფომ უნდა გაზარდოს საინფორმაციო კამპანიები, მიიტანოს რა ეს ყოველივე ინფორმაცია მცირე მეწარმეებამდე და მისცეს მათ მეტი საშუალება, რაც თავის მხრივ გაზრდის მათ ეფექტურობას და მისცემს საშუალებას გაზარდონ წარმოება, გაიტანონ საქონელი ექსპორტზე, ისარგებლონ სხვადასხვა პროგრამებით. ასევე პრობლემას წარმოადგენდა მსხვილი უცხოური ინვესტიციების არაპროპორციული გავლენა ეკონომიკაზე, იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომ ისინი ნაკლებად თანამშრომლობდნენ ადგილობრივ ბიზნესებთან, ნაკლებად ხდებოდა ცოდნის,

ტექნოლოგიების და სხვადასხვა ბენეფიტების ადგილობრივ კომპანიებში გადადინება, ამ ყველაფრის გამოსასწორებლად, სახელმწიფოს ვაძლევთ რეკომენდაციას, რომ უცხოურ ინვესტიციებს მისცენ შეღავათიანი საგადასახადო სისტემა იმ შემთხვევაში, თუ ისინი მეტად ითანამშრომლებენ ადგილობრივ ბიზნესთან, ჩვენი აზრით ამ ყველაფრის გაზომვა შეიძლება წარმოების სფეროში, მომწოდებლების, დისტრიბუტორების და დილერების პროპორციული წილების მეშვეობით და თუ ეს პირობები გონივრული იქნება, შედეგიც აუცილებლად დადგება, მსხვილ ბიზნესთან თანამშრომლობით შეძლებენ ადგილობრივი კომპანიები შეიძინონ ახალი ცოდნა და განავითარონ საკუთარი ბიზნესი, შესაბამისად მეტი წვლილი შეიტანონ სახელმწიფოს განვითარებაში. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარება, რაც თავის მხრივ შექმნის მოთხოვნას მაღალკვალიფიციურ მუშახელზე და ეს ყოველივე შექმნის ჯაჭვს ადგილობრივი კადრების გადამზადების კუთხით, სახელმწიფოს შეუძლია შეიმუშავოს ისეთი პოლიტიკა, სადაც გარკვეულწილად შეუქმნის შეღავათებს ისეთ კომპანიებს, რომლებიც იმუშავებენ მაღალტექნოლოგიური დარგების მიმართულებთ და დასაქმებულთა ნახევარზე მეტი ეყოლებათ საქართველოს მოქალაქე, ეს აუცილებლად გამოიწვევს კადრების გადამზადებას და იმ ბზარის ამოვსებას ეკონომიკაში, რასაც არაკვალიფიციური მუშახელი ქმნის. ამ ყოველივესთან ერთად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პოლიტიკური სტაბილურობა და კორუფციის დაბალი დონე.

ასევე რეკომენდაციას ვაძლევთ მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამების გაგრძელებას, როგორიც არის აწარმოე საქართველოში, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმეების ხელშეწყობის პროგრამა და სხვა მსგავსი პროექტები. თუმცა პროგრამების შედეგად მიღებული ბენეფიტების მიუხედავად აუცილებლად მიგვაჩნია, ბენეფიციარებთან უშუალოდ მეტი კომუნიკაცია და მეტი უკუკავშირის მიღება, რათა დინამიკაში გავაუმჯობესოთ შედეგები.

ბიბლიოგრაფია

- Lamsiraroj, S. 2016. The foreign direct investment-economic growth nexus. International Review of Economics and Finance. Vol. 42: 116-133
- OECD, 2008: 17, and IMF, 2003: 9-10
- European Trade Study Group, "The effects of foreign direct investment on the host country economic growth - theory and empirical evidence" http://www.etsg.org/ETSG2009/papers/forte.pdf
- Ozturk, I. (2007). "Foreign direct investment – growth nexus: a review of the recent literature".
- Borensztein, E., De Gregoreio, J., and Lee, J-W. (1998). How does foreign direct investment affect economic growth? Journal of International Economics. Vol 45
- lfaro, Laura, Areendam Chanda, Sebnem Kalemli-Ozcan, and Selin Sayek. 2010 "Does foreign direct investment promote growth? Exploring the role of financial markets on linkages," Journal of Development Economics, 91: 242-256
- Mencinger, Jože. 2003. "Does Foreign Direct Investment Always Enhance Economic Growth?" Kyklos, 491-508
- Lamsiraroj, S., and Ulubasoglu, M.A. 2015. Foreign Direct Investment and Economic Growth: A real relationship or wishful thinking? Economic Modeling. Vol.51: 200-213.
- Wang, M., and Wong, M.C.S. 2011. FDI, Education, and Economic Growth: Quality Matters. Atlanta Journal. Vol.39:103-115
- Rodrik, D. 2000. Institutions for High-Quality Growth
- Acemoglu, D., and Robinson, J.A. 2012. Why Nations Fail: The Origins of Power, Prosperity and Poverty

- Helmke, G., and Levitsky, S. 2004. Informal institutions and comparative politics: A research agenda. Perspectives on Politics. Vol. 2 (4): 725-740
- Aglobyor, E.K, Gyeke-Dako, A., Kuipo, R, and Abor, J.Y. 2016. Foreign Direct Investment and Economic Growth in SSA: The role of Institutions. Thunderbird International Business Review. Vol. 58(5): 479-497.
- Azman-Saini, W.N.W, Baharumshah, A.Z., and Law, S.H. 2010. Foreign Direct Investment, Economic Freedom, and Economic Growth: International Evidence. Economic Modelling. Vol.27: 1079-1089
- Williamson, C.R. 2009. Informal Institutions Rule: Institutional Arrangements and Economic Performance. Public Choice. Vol. 139 (3): 371-387
- Chong, A., and Gradstein, M. 2004. Inequality and Institutions. Research Departnment Working Paper 506.
- Lopez, JH. 2004. Pro-Growth, Pro-Poor: Is There a Trade Off? World Bank Policy Research Working Paper 3378
- Rothstein, B., & Teorell, J. 2015. Quality of Government. In International encyclopedia of the social & behavioral sciences (p.p. 690-694)
- Kusumawati, P.N.L., Elhorst, P., and De Haan, J. 2015. The Inclusive Growth Concept: Strengths, Weaknesses and a Research Agenda for Indonesia
- Crafts, N.F.R. 1997. Some Dimensions of the Quality of Life During the British Industrial Revolution.
- Felipe, J. 2012. Inclusive Growth: Why Is It Important for Developing Asia? The CADMUS Journal, 1(4), 36-58
- Dunning, J., and Fortainer, F. 2006. Multinational Enterprises and the New Development Paradign
- North, D. 1981. Structure and Change in Economic History

- Dunning, JH., and Lundan, SM. 2008. Institutions and the OLI paradigm of the multinational enterprise. Asia Pacific Journal of Management. Vol. 25 (4): 573- 593.
- Te Velde, D., W., and Xenogiani, T. 2007. Foreign Direct Investment and International Skill Inequality. Oxford Development Studies. Vol. 35(1): 83-104.
- Solow, R. 1956. A Contribution of the Theory of Economic Gowth. Quarterly Journal of Economics. Vol.70: 65-94.
- Swan, T. 1956. Economic Growth and Capital Accumulation. Economic Record. Vol. 32 (63); 334-336
- Aglobyor. 2016. Foreign Direct Investment and Economic Growth in SSA: The role of Institutions. Thunderbird International Business Review. Vol. 58(5): 479-497
- Dutt, A. K. 1997. The pattern of direct foreign investment and economic growth. World Development, 25(11), 1925-1936.
- Bornschier, V., Chase-Dunn, C., & Rubinson, R. 1978. Cross-national evidence of the effects of foreign investment and aid on economic growth and inequality: a survey of findings and reanalysis. The American Journal of Sociology, 84, 651-683
- Li, X., & Liu, X. 2005. Foreign direct investment and economic growth: An increasingly endogenous relationship. World Development, 33(3), 393-407
- Hein, S. 1992. Trade strategy and the dependency hypothesis: A comparison of policy, foreign investment, and economic growth in Latin America. Economic Development and Cultural Change, 40(3), 495-521.
- Encarnation D. J., & Wells, L. T. Jr. 1986. Evaluating foreign investment. In T. H. Moran (Eds.), Investing in development: new roles for foreign capital?
- Balasubramanyam, V., & Salisu, M. 1991. EP, IS and direct foreign investment in LCDs.

- Kravis, I. B., & Lipsey, R. E. 1982. The location of overseas production and production for export by US multinational firms. Journal of International Economics, 12(3-4), 201-224.
- ackson, S., & Markowski, S. 1995. The attractiveness of countries to foreign direct investment: Implications for the Asia-Pacific region
- Basu, P., Chakraborty, C. & Reagle, D. 2003 Liberalization, FDI, and growth in developing countries: A panel cointegration approach. Economic Inquiry, 41, 510-516
- Nunnenkamp, P., Alatorre-Bremont, J. E, & Waldkirch, A. 2007. FDI in Mexico: An empirical assessment of employment effects
- Driffield, N., & Taylor, K. 2000. FDI and the labour market: A review of the evidence and policy implications. Oxford Review of Economic Policy, 16(3), 90-103.
- Honglin, K. 2001. Does foreign direct investment promote economic growth?
- Driffield, N., & Taylor, K. 2000. FDI and the labour market: A review of the evidence and policy implications. Oxford Review of Economic Policy, 16(3), 90-103
- Barrel, R. & Pain, N. 1997. Foreign direct investment, technological change and economic growth within Europe
- Blomstrom, M. 1986. Foreign Investment and productive efficiency: The case of Mexico
- Blomstrom, M., & Wolff, E. 1994. Multinational corporations and productivity convergence in Mexico
- Haddad, M., & Harrison, A. 1993. Are there positive spillovers from direct foreign investment
- Dunning, J. 1981. Explaining the international direct investment position of countries: Towards a dynamic or development approach. Weltwirtschaftliches Archiv, 117, 30-64

- Potter, J., Moore, B., & Spires, R. 2002. The wider effects of inward foreign direct investment in manufacturing on UK industry. Journal of Economic Geography, 2(3), 279-298.
- Hanson, Gordon H. 2001. Should Countries Promote Foreign Direct Investment? Paper presented at the United Nations Conference on Trade and Development.
- Chai, Jingqing, and Rishi Goyal. "Tax Concessions and Foreign Direct Investment in the Eastern Caribbean Currency Union
- Taymaz and Yilmaz. 2008. The Impact of Foreign Direct Investments on SMEs' Development
- Markusen, James R., and Anthony J. Venables. 1999. Foreign direct investment as a catalyst for industrial development, European Economic Review, 43: 335-356
- Fortanier, Fabienne. 2007. Foreign direct investment and host country economic growth: Does the investor's country of origin play a role? Transnational Corporations, 16: 41- 76.